# გურჯაანის რაიონი

რაიონი აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც ამბობენ კახეთის გული. 1917 წლამდე გურჯაანის ტერიტორია თბილისის გუბერნიის თელავის მაზრაში შედიოდა. 19330 წლიდან კახეთის ოლქშია დამოუკიდებელი რაიონად. ჩრდილოეთ აღმოსავლეთით მდინარე ალაზნით გამოყოფს ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონებს, ჩრდილოეთ დასავლეთით ესაზღვრება თელავის, სამხრეთ დასავლეთით საგარეჯოს, სამხრეთ აღმოსავლეთით სიღნაღის რაიონები. ფართი849,2 კმ2. რაიონული ცენტრი ქ. გურჯაანი. რაიონში შედის ერთი საქალაქო და 17 სასოფლო საბჭო.

რელიეფი. ნიადაგი პალეოგენური ასაკის კონგლომერატებით, ქვიშაქვებითა და თიხებით, განპირობებულია რელიეფის ეროზიული ფორმები. ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი ნაწილი უკავია ალაზნის აკუმულაციურ ვაკეს, ცენტრალური ნაწილი გომბორის ქედის ჩრდილო აღმოსავლეთ კალთებს, სამხრეთ დასავლეთში შემოდის გარე კახეთის ზეგანის ნაწილი. ალაზნის ვაკე ტექტონიკური ინგრესიული დაძირვის ზონაა, ვაკის ზედაპირი ძირითადად ბრტყელია, მხოლოდ აქა-იქ გვხდება ტაფობი გორაკები. გომბორის ქედი ოროგრაფიულად კახეთის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთის გაგრძელებაა და გარე კახეთის ზეგანს უერთდება. რაიონის ფარგლებში ზეგანის ზედაპირი მშრალი ხევებით და ხრამებით დანაწევრებული ტალღოვანი ვაკეა.

რაიონი მოქცეულია ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ოლქში და ხასიათდება ჰავის სიმაღლებრივი ზონალობით: დაწყებული ზომიერად თბილი სტეპის ჰავიდან დამთავრებული ზომიერად ნოტიო ჰავით. რაიონის წიაღისეულიდან მნიშვნელოვანია სამკურნალო ტალახი, რომლის ბაზაზეც შექმნილია კურორტი ახტალა. საშუალო წლიური ტემპერატურა 8,1 0 ც, მინიმალური -26 , მაქსიმალური 36 გრადუსი. ნალექების მაქსიმუმი გაზაფხულზეა, ხშირად იცის სეტყვა.

შიდა წყლები. რაიონის მდინარეთა ქსელს ქმნის მდინარე ალაზანი და მისი მარჯვენა შენაკადები: შრომისხევი, მლაშეხევი, ჭერემისხევი, ფოფრისხევი, ჩალაუბნისხევი, და სხვა. მდინარეები დიდდება გაზაფხულზე.

რაიონის ისტორიული ძეგლებია: ვაზისუბნის სამნავიანი ბაზილიკა (VI ს.) და "დავითიანის" გუმბათოვანი ეკლესია (VI-VII სს.) მონასტერი ,,სანაგირე" (X-XI სს.), ვეჯინის კომპლექსი, გურჯაანის ყველაწმინდის ორგუმბათოვანი ეკლესია, ქართული ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანესი ძეგლი -ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია (VIII-IX სს.) შრომის ყველაწმინდის (VI-IX სს) კარდანახის საბაწმინდისა (XIII-XV სს.), ზეგანის ეკლესია (ვ ს.) და უამრავი სხვა.

# Gurjaani District

The region in Eastern Georgia, which is called "Heart of Kakheti". Till 1917 Gurjaani Territory made a part of Telavi Uyezd of Tbilisi Governorate. Since 1930 it is in Kakheti district as independent region. It is separated from Kvareli and Lagodekhi districts by the Alazani from the north-east; Gurjaani is bounded by Telavi to the north-west, Sagarejo – to the south and Sighnaghi district – to the south-east. Its area is 849.2 km2; regional center – city of Gurjaani. There is one municipal and 17 rural board in the District.

Relief. Soil with conglomerates of paleogene age, sandstones and clays, with spread erosion forms of relief. North-eastern part consists of the Alazani depreciated plane, central part – north-eastern slopes of Gombori ridge. Part of outer Kakhetian highlands enter its south-western part. Alazani plane is tectonically intensive sinking zone; surface of the plains is basically plain. Small hills are rarely met. Gombori Ridge orographically makes continuation of south-eastern part of Kakheti range and it joins highlands of outer Kakheti. Within the territory of the District, surface of the highlands is the plain divided by dry ravines and precipices.

The region is located at the area of moderately humid subtropical climate and characterized with altitudinal zonality: starting with mildly warm moor climate and finished with mild humid climate. Therapeutic mud is the most important among minerals of the District, on the basis of which there is a resort Akhtala established. Average annual temperature is 8.1oC, and minimal – 26oC. Maximum quantity of sediments is met in spring; it's often hailing there.

Underwater. The river Alazani and its periodic streams: Shromiskhevi, Mghriekhevi, Cheremiskhevi, Jafriskhevi, Chalaubniskhevi and others, make river network of the District. The rivers are raised in spring.

Historical monuments of the District are: Vazisubani three-nave basilica (6th century) and Domed church of "Davitiani" (6th - 7th centuries). "Sanagire" monastery (10th-11th centuries), Vejini complex, Gurjaani two-cupola church of All Saints, one of the most important monuments of Georgian Architecture – the church dedicated to the Assumption of Mary (8th-9th centuries), Churches of All Saints of Shroma (6th-9th centuries), Sabatsminda Church of Kardenakhi (8th-15th centuries), Zegani church (5th century) and many others.

# ...რაც მეტი იცი, მეტი შეგიძლია









„ვარდების რევოლუციის შემდეგ ქვეყანამ სწორი გზით დაიწყო განვითარება, ამიტომაც გამოუცხადა ნდობა საქრთველოს პრეზიდენტს მოსახლეობამ. ასე იწყებს საუბარს გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებელი -შოთა უტიაშვილი, დაიბადა თბილილსში 1973 წლის 19 თებერვალს. ტრადიციულ,ქართულ ოჯახში აღიზარდა, სადაც ადმიანურ ღირსებას, სიყვარულს, თანადგომასა და ქვეყნის ერთგულებას ასწვალიდნენ.

ზოდიაქოთი ხარი, მას ახასიათებენ: მომთმენი, ჩუმი, თავშეკავებული, ზომიერი, ზუსტი, მეთოდური – ამ ნიშნებით ხარი ფარავს ორიგინალურ და ინტელელქტუალურ ჭკუას. ეს არის მისი ძირითადი უპირატესობა რის საფუძველზეც აღწევს წარმატებას.

ცხოვრობს გურჯაანში მეუღლესთან -ეკა ბერუკაშვილთან, ( რომელიც მუშაობს გურჯანის პოლკინიკასა და კახეთის სამედიცინო ცენტრში, ენდოკრინოლოგად.) და ორ შვილთან ერთად. დაამთავრა აგრარული უნივერსიტეტის მექანიზაციის ფაკულტეტი. პროფესიით ინჟინერ -მექანიკოსი. ეწევა ფერმერულ მოღვაწეობას, აქვს 10 ჰ მიწა ვენახითა და მეტწილად ხეხილით.

...2009 წელს, გამგეობაში ჩატარდა კონკურსი ახალი და ნიჭიერი კადრების შესარჩევად. საკმარისი ქულების დაგროვების შემდეგ შოთა უტიაშვილი არქიტექტორის, ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკის განვითარების სამსახურში მთავარ სპეციალისტად დაინიშნა. მანამდე იგი მუშაობდა კახეთის მთავარ სამმართველოში უფროს ინსპექტორად,ეკოლოგიის ჯგუფისა,და ყვარლის ეკოლოგიის ჯგუფის უფროსად. 2009 წლის 1 დეკემბერს აღნიშნული სამსახურიდან გადაყვანილი იქნა გამგებლის მოადგილედ. ხოლო, 7 თვის შემდეგ გამგებლად დაინიშნა.

ბატონო შოთა, თქვენ საპატიო მისია დაგეკისრათ. გამგებლობა აუცილებელი იყო, რომ საკუთარ რაიონზე გეზრუნათ?

-არა რა თქმა უნდა,მაგრამ ამ გადმოსახედიდან მეტის გაკეთება შემიძლია, მეტს ვხედავ. ვიცი რა უფრო საჭიროა ქალაქისთვის, რა კუთხით

უფრო მალე შეიძლება მოგვარდეს პრობლემა... გურჯაანი არც თუ დიდი რაიონია, ყველა ერთმანეთს ვიცნობთ, ვიცით ერთმანეთის სატკივარი. ჩემთვის თითოეული მათგანი ძვირფასია, ჩემი ცხოვრებისეული კრედო იყო -ქალაქის მოსახლეობის მდგომარეობის-გაუმჯობესება.

რა გაკეთდა გურჯაანში თქვენი გამგეობის პერიოდში?

...მოგვარებულია სასმელი წყლის მიწოდება თითქმის ყველა უბანში,სრული რეაბილიტაცია წლის ბოლოს დასრულდება. რაიონში 30 სოფელია და 80 000 ადამიანი ცხოვრობს. მინდა აღვნიშნო, რომ „მუნიციპალური განვითარების ფონდის" დაფინანსებით აშენდა სასმელი წყლის ახალი სისტემა. მოხდა საცხოვრებელი სახლების სახურავების განახლება. გზების რეაბილიტაცია, განახლდა საკანალიზაციო მიწისქვეშა სამუშაოები, განათდა ცენტრალური ქუჩები, კეთილმოეწყო სკვერები. გაკეთდა ქვაფენილის ბილიკები, დამონტაჟდა დეკორაციული ლამპიონები. აშენდა და რესტავრაცია გაუკეთდა კულტურის ძეგლებს,წარმატებით ხორციელდება სოფლის მხარდაჭერის პროგრამები. ადგილობრივი, ბუნებრივი სიმდიდრე გვაძლევს იმის საშუალებას,რომ განვითარდეს ტურიზმი. გურჯაანიის რაიონში ყველა პირობა არსებობს რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. გარდა ამისა დიდი ყურადღება ეთმობა განათლებისა და კულტურის სფეროს, თვით -შემოქმედების კოლექტივებს.

დაბოლოს, მინდა ვთქვა და ვისურვო, რომ თითოეული მოქალაქის მიზანი უნდა იყოს ევროატლანტიკურ ალიანსში საქართველოს ინტეგრაცია. დღეს ქართული სახელმწიფოს არსებობა დიდადაა დაკავშირებული იმ საკითხებთან, გავხდებით თუ არა ალიანსის წევრი ქვეყანა. საქართველოში მეტი ინვენსტიცია შემოვა და უფრო საინტერესო გახდება საერთაშორისო პარტნიორებისათვის თუ ბიზნეს წრეებისათვის.



# …THE MORE YOU KNOW, THE MORE YOU ARE ABLE TO DO



He is successive, educated young man, devoted to the work and the state. He speaks honestly about welfare, development of Gurjaani and political spectra of recent years.

"Since Rose Revolution Georgia began developing in correct direction, that is why people declared their trust to the President of Georgia, - this is how Mr. Shota Utiashvili, Governor of Gurjaani Municipality begins his speaking. He was born in Tbilisi on February 19, 1973. He was brought up in traditional Georgian family, where he was taught human dignity, love, support and devotedness to the country.

Ox by Chinese horoscope, characterized as patient, calm, modest, diligent and methodological person – Ox hides its original and intellectual mind behind these features. This is its basic priority by which it makes success.

He lives in Gurjaani together with his wife – Eka Berukashvili (who works at Gurjaani policlinics and Medical Center of Kakhetioni for the endocrinologist) and two children. He graduated from the Faculty of Mechanization of Agrarian University. He is mechanical-engineer by profession. He runs farm business, has 10 Hectares of land with vineyard and mostly fruit-trees.

…There was a competition declared in 2009 at the City Board for selection of new and talented staff. After accumulation of sufficient quantity of points, Shota Utiashvili was appointed with the Chief Specialist at the Department of Architectures, Infrastructure and Economy. Before that he had work at Main Division of Kakheti for chief inspector, as well as the Head of the group of ecologists and Kvareli ecology group. In December 1, 2009 he was appointed for the Deputy Governor and after 7 months – for the Governor.

Rehabilitation of the roads and renovation of the roofs of the houses are in progress. Water supply to almost every district is providing; complete rehabilitation will be provided at the end of the year. There are 30 villages and 80 000 residents in the region.

Being a governor is a heavy, though pleasant burden, as you carry it for our people.

Mr. Shota, you have an honorable mission. Was it necessary to become a Governor for taking care of your region?

- Of course, not, though I can do much more from here, as I am able to see more. I know what is needed by the city more, how can the problems be solved more rapidly… Gurjaani is not a large district, we all know each other, and we know each-others' pain. Each of them is precious to me. Credo of my life is – Development and improvement of conditions of the city population.

What has been done in Gurjaani during your Governing?

I want to note that a new system of drinking water supply was built under the finance of “Foundation of Municipal Development”, we provided rehabilitation of roads, renewing sewage underground systems, illumination of central streets, improving of squares; we have built pavement lanes, installed decorative lamps, built and restored cultural monuments, and realized agriculture programs with success. Local natural wealth gives us opportunity for development of tourism. There is any condition in Gurjaani for social-economical development of the District. In addition, great attention is paid to the fields of education and culture, collectives of self-creation.

And finally, I’d like to say and to wish, that integration of Georgia into Euro-Atlantic Alliance is to be main goal of each citizen. Today existence of Georgian state depends greatly on the issue of our becoming the member of this Alliance. More investments will be provided in Georgia and it will become more interesting for international partners and business circles.























































# ყვარელის რაიონი

რაიონი აღმოსავლეთ საქართველოში, მდინარე ალაზნის მარცხენა მხარეს. ჩრდილოეთით ესაზღვრება დაღესტანი, სამხრეთით გურჯაანისა და თელავის, დასავლეთით ახმეტის, აღმოსავლეთ ლაგოდეხის რაიონები. ცენტრი ქ. ყვარელი, ცხრა სასოფლო საბჭო და 46 სოფელი.

ყვარელის რაიონის ჩრდილო ნაწილი უკავია კახეთის კავკასიონის სამხრეთ კალთას მწვერვალ საჯიხვის თავიდან მწვერვალ ჭვარისთავამდე. ყვარელის დასავლეთით მდებარეობს კოდორის ქედი. სამხრეთი ნაწილი გაშლილია ალაზნის ვაკეზე. რაიონი მდიდარია მინერალური წყაროებით და გამოირჩევა სამკურნალოდ. ჰავა ზომიერად ნოტიო სუბტროპიკულია, ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურაა +38, მინიმალური -23. იცის ზომიერად ცივი ზამთარი და ხანგრძლივი თბილი ზაფხული, ხშირია გვალვები და რაიონისთვის დამახასიათებელია სეტყვა. რაიონის ტერიტორიაზე მდინარეთა ხშირი ქსელია, მთავარი მდინარე ალაზანი რაიონს ჩამოუდის სამხრეთ საზღვარზე. შენაკადებია; ინწობა, ჩელთი, დურუჯი, ბურსა, შაროხევი და სხვა. ზოგიერთი მდინარე ღვარცოფულია. მდინარეები გამოირჩევა სარწყავად, ნაწილობრივ ენერგეტიკული მიზნებისათვის. რაიონს აქვს „დურუჯის წყალსაცავი, რაიონი მდიდარია მცენარეული საფარით, აგრეთვე მდიდარია ცხოველთა სამყაროთი: მურა დათვი, შველი, არჩვი, გარეული ღორი, მგელი, მელა, ტურა და ა.შ.

მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ალაზნის ვაკეზეა განლაგებული, მცირე ნაწილი კი გორაკ ბორცვიან ზონაში. მიუხედავად სამეურნეოდ ვარგისი ფართობების სიმცირისა კარგად არის განვითარებული სოფლის მეურნეობა. წამყვანი დარგებია მეცხოველეობა, მევენახეობა და ეთერზეთოვანი კულტურების მეურნეობა. ფუნქციონირებს უდიდესი ღვინის ქარხნები.

რაიონის ხუროთმოძღვრული ძეგლები: ძველი გავაზის ღვთისმშობლის ეკლესია (VI ს), ახალსოფლის მახლობლად, გრემის მთავარანგელოზის ტაძარი (1565). ნეკრესის სამონასტრო ანსამბლი (V-IXსს, XVI ს.) ალდგომის ეკლესია ენისელში (XV ს.) გუმბათოვანი ეკლესია „კვირაცხოველი" (XV-XVIII სს.), შილდისა და ყვარელის ციხეები (XVIII ს.) და სხვა.

# Kvareli District

District in Eastern Georgia, to the left side of the river Alazani, bounded by Dagestan to the north, Gurjaani and Telavi district – to the south, Akhmeta – to the west and Lagodekhi district – to the east. Its center is Kvareli. The district consists of nine rural boards and 46 villages.

Northern part of Kvareli district is occupied by southern slope of Kakhetian Caucasus from the Peak Sajikhvis Tavi to the Peal Ivarisi. To the west of Kvareli there is Kudigori range. Southern part is spread on Alazani plain. The District is rich in mineral waters, which are used for treatment. Climate is moderately humid subtropical. Upper temperature limit +38, and the lower – 23. There is moderately cold winter and long warm summer. Drought and hail is characteristic to the district. There is a large network of rivers at the Territory. Main river Alazani flows on the southern border of the District. Its confluences are: Intsoba, Chelti, Duruji, Bursa, Shrokhevi and others. Some rivers are mudflow. Rivers are used for irrigation, partially for energetic purposes. There is Duruji reservoir. The District is rich in vegetation, as well as in fauna; brown bear, roe deer, chamois, boar, wild lion, wolf, fox, jackal and others are met here.

Most part of population is settled at Alazani plain, and smaller part on the mountainous zone. Notwithstanding lack of the area for agricultural purposes, this field is well developed in this territory. Leading fields are: breeding, viticulture and oils industry. The largest wine plants are operating there.

Monuments of architecture of the District are: Church of Old Gavazi dedicated to St. Mary (6th century), close to Akhalsopeli Gremi Temple of Archangel (1565), Nekresi Monastery Complex (4th-9th centuries, 16th century), Easter Church in Eniseli (15th century), Cupola Church "Kviratskhoveli" (15th-18th centuries), Shilda and Kvareli fortresses (18th century) and others.

# ვინც თვითონ კაცი ქმნის და არა ვინცი კაცსა

*“თუ კაცმა ვერ სცნო ჩვენი გული, ხომ იცის ღმერთმა,*
*რომ წმინდა არის განზრახვა და სურვილი ჩვენი*
*აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართვლის ბედმა*
*და დაე გვძრახონ,– ჩვენ მის ძებნით დავლიოთ დღენი”*

ილიასეული ამ შეგონებით დავიწყეთ საუბარი, რადგან ყვარელში, სადაც არ უნდა გადადგა ნაბიჯი, ყველგან ქართველი ერის მამის, დიდი ილია ჭავჭავაძის ბრძნულ ნააზრევსა და ფრთიან სიტყვებს ამოიკითხავთ. კითხულობ, გიხარია და სიამაყით გევსება გული.

ბედნიერებაა, როცა ერი არ ივიწყებს ჭეშმარიტ მამულიშვილებს, უფრო მეტიც, ცხოვრების თანამგზავრად გაუხდიათ ილიასეული სიბრძნე. ყვარელში ვისაც არ უნდა გაესაუბრო, ილიას შედევრების ციტირებით იწყებს საუბარს, და არ გამკვირვებია, როცა ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა ლევან გამსახურდიამ არაერთგზის მოიშველია ილიას უკვდავი ფრაზები.

სიმართლე გითხრათ, გაკვირვება არ დამიმალავს ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის გვარის გამო. მისი ისტორია კი საკმაოდ საინტერესოდ მივიჩნიე.

ლევანის მამა, ბატონი ალექსანდრე გამსახურდია 1959 წელს ყვარელში გაამწესეს სამუშაოდ, იგი ცნობილი ქირურგი იყო. მაგრამ ბატონმა ალექსანდრემ ისე შეიყვარა ყვარელი და ყვარლელები, რომ იქვე დაოჯახდა -ანასტასია მეტრეველზე და სამუდამოდ დამკვიდრდა ყვარელში. (იგი 1984 წელს გარდაიცვალა. ყვარლის მოსახლეობამ დიდი პატივით გააცილა ამაგდარი დასტაქარი უკანასკნელ გზაზე.)

ყველა ფიქრობდა, რომ ლევანი ექიმი გახდებოდა, მაგრამ მან სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი არჩია და დღემდე არ ნანობს. იგი ხასიათდება: მომთმენი, ჩუმი, თავშეკავებული, ზომიერი, ზუსტი, მეთოდური, ინტელექტუალური. ეს არის მისი ძირითადი უპირატესობა, რის საფუძველზეც იგი აღწევს წარმატებებს.

-ლევან გამსახურდია 1963 წლის 11 მაისს დაიბადა ქ. ყვარელში. 1980 წელს დაამთავრა ყვარლის №2 საშუალო სკოლა, 1985 წელს კი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, სპეციალობით ინჟინერ ჰიდრო-მელიორატორია. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ყვარლის ქინძმარაულის მევენახეობის მეურნეობაში სხვადასხვა თანამდებობებზე.

1992 წლიდან მუშაობა დაიწყო ყვარლის რაიონის გამგეობაში სოციალურ-ეკონომიკური განყოფილების გამგედ, შემდეგ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ, მოგვიანებით აგროსამრეწველო სამმართველოს უფროსად. 1996-2004 წლებში იყო ყვარლის რაიონის სიფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს უფროსი. 2004-2008 წლებში დასაქმებული იყო კერძო სექტორში, უძღვებოდა საკუთარ ფერმერულ მეურნეობას. 2008 წლის სექტემბერში დაინიშნა ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილედ, ხოლო იმავე წლის ნოემბერში გამგებლად, სადაც მუშაობს დღემდე.

ბატონ ლევან გამსახურდიას ჰყავს დედა – ანასტასია მეტრეველი, ამჟამად პენსიონერი, მეუღლე – მანანა თვალიაშვილი, პროფესიით ექიმი და ოთხი შვილი – ნატო, ანა, ალექსანდრე და გიორგი.

“— ვინც ორი მარცვალი მოიყვანა იქ, საცა მანამდე მარტო ერთი მარცვალი მოდიოდა, იგი უდიდეს სამსახურს უწევს კაცობრიობას”. – ბრძანა ილიამ. მე ბედნიერ ადამიანად ჩავთვლი თავს, თუ კი ერთი აგურის დადება მაინც შევძელი ჩემი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეშიო. სწორედ ასე, თავმდაბლად იწყებს საუბარს ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელი –ლევან გამსახურდია.

საუბარი მინდა დავიწყო იმით, რომ რთულია, მაგრამ ამავე დროს საპატიოც იყო იმ მუნიციპალიტეტის გამგებელი, რომლის მადლიან მიწაზეც დაიბადა და გაიზარდა ქართველი ერის მოჭირნახულე დიდი ილია ჭავჭავაძე, სადაც იშვნენ თეატრალური სამყაროს “ჯადოქარი” შემართების ხელოვანი, ქართული თეატრის რეფორმატორი კოტე მარჯანიშვილი და სხვა ცნობილი, ღირსეული ქართველები.

მოგეხსენებათ, ყვარელი ერთ-ერთი გამორჩეული რეგიონია საქართველოში. გამორჩეულია კულტურისა და ისტორიის ძეგლებით, ეკლესია – მონასტრებით, შესანიშნავი მუზეუმებით, ციხე – სიმაგრეებით. აქ უხვადაა ბუნების საოცრებები. ამ ყველაფერმა წარუშლელი კვალი დატოვა ქართველი ერის გადარჩენისა და თვითმყოფადობის საქმეში. ამიტომ თითოეული ყვარლელი ვცდილობთ მეტი ვიღვაწოთ ჩვენი ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

კერძოდ, დიდი ყურადღება ეთმობა ინფრასტრუქტურის განვითარებას, სადაც უზარმაზარი თანხებია ჩადებული. მიმდინარეობს ინტენსიური სამუშაოები წყლის პრობლემების ერთხელ და სამუდამოდ აღმოსაფხვრელად, გაზიფიცირებულია მუნიციპალიტეტის სოფლების დიდი ნაწილი და სამუშაოები გრძელდება. მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება გზებისა და გარე განათებების მოწესრიგებისა და კეთილმოწყობის მიზნით. ყურადღება ექცევა კულტურასა და სპორტს, შენდება მინი სტადიონები, სპორტული მოედნები. თანამედროვე მოთხოვნების დონეზე რეაბილიტაცია ჩაუტარდა ყვარლის სასპორტო სკოლას. ეს ყველაფერი პირდაპირ კავშირშია სამუშაო ადგილების შექმნასთან.

ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორია კავკასიონის ქედს ესაზღვრება, ამის გამო წყალდიდობები და მისგან გამოწვეული პრობლემები მრავლადაა. სახელმწიფომ სწორი და დროული გადაწყვეტილება მიიღო, როცა შესაბამისი ძვირადღირებული ტექნიკა გადმოგვცა. გამოყოფილია საჭირო თანხები და მიმდინარეობს ნაპირსამაგრი სამუშაოები.

შარშან დასრულდა ნეკრესის სამონასტრო კომპლექსის (IV – XVI სს) სარესტავრაციო და

კეთილმოწყობის სამუშაოები, რომლებიც მთელი თავისი დიდებულებით იზიდავს მნახველებს. ამჟამად მიმდინარეობს გრემის სამონასტრო და სამუზეუმო კომპლექსის (XV – XVI სს) რეაბილიტაცია – მშენებლობა. გრემი ორი საუკუნის განმავლობაში იყო კახეთის სამეფოს სატახტო ქალაქი. არქეოლოგიური მასალები და ისტორიული წყაროები ადასტურებენ, რომ გრემი წარმოადგენდა ფეოდალური ეპოქის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სავაჭრო – ეკონომიკურ ცენტრს.

ნეკრესი და გრემი ტურიზმის მნიშვნელოვან კერებად იქცნენ. ყვარელს გააჩნია არაჩვეულებრივი ყვარლისა და დურუჯის ტბები თავისი მიმდებარე საკურორტო ზონებით. შენდება სასტუმროები, კვების ობიექტები, გასართობი ცენტრები. ეს ყველაფერი ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი სტუმრისა და დამსვენებლისათვის, რაც ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას.

მოძიებული ინვესტორების წყალობით “გვირაბი” ბოლო წლებში კიდევ უფრო აშენდა, დამშვენდა და ხელახლა ჩადგა მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარების სამსახურში. მას არა მხოლოდ სამეურნეო, არამედ სამუზეუმო და ტურისტული დატვირთვაც გააჩნია.

სათქმელს და საკეთებელს რა გამოლევს მაგრამ თავს აღარ შეგაწყენთ საუბრით. დასასრულ ვიტყვი, რომ დიდი საქმეები ერთბაშად არ კეთდება, ბევრი შრომაა საჭირო. ყველამ რუდუნებით ვაკეთოთ ჩვენი საქმე. გვიყვარდეს სამშობლო, გვიყვარდეს ერთმანეთი და ვიაროთ ილიას გზით.









# “A man creates his fortune and not a fortune creates a man”

We begin the article from Ilia’s rhyme, in which he calls Georgians for patriotism, because anywhere in Kvareli you’ll meet with the wise expressions and thoughts of the Father of Georgian Nation, great Ilia Chavchavadze. You enjoy reading them and feel proud.

It is the happiness when the nation remembers its true patriots, and more, Ilia’s wisdom is the credo to their lives. Anybody in Kvareli begins speaking with Ilia’s citations, and when Mr. Levan Gamsakhurdia referred to them didn’t make me surprised.

Telling the truth, I was surprised with the surname of the Governor of Kvareli Municipality. His history appeared to be quite interesting.

Levan’s father Mr. Alexandre Gamsakhurdia was sent to Kvareli to work in 1959. He was a well known surgeon. He fell in love with Kvareli and Kvarelians, married Anastasia Metreveli and settled in Kvareli forever. (Mr. Alexandre died in 1984. Kvarelian people honored him on his last way).

Everybody though Levan to become a doctor, but he decided to enter Agrarian Institute and doesn’t regret it. He is characterized as a patient, quiet, modest, moderate, direct, methodological and educated person. This is his basic priority that helps him in making success.

Levan Gamsakhurdia was born on May 11, 1963 in the city of Kvareli. In 1980 he finished Kvareli school No. 2, In 1985 he entered Agrarian Institute of Georgia, specialized as engineer-hydro-irrigator. After graduation he worked at Kvareli Kindzmarauli winegrowing farm at different positios.

Since 1992 he began working at Kvareli City Counsel for the manager of social-economical department, later deputy chairman of the Counsel and later for the head of agro-industrial division. In 1996-2004 he was the Manager of Agriculture and Food Division of Kvareli district. In 2004-2004 he was engaged in private sector by running own farm. In September, 2008 he was assigned for the first Deputy Governor of Kvareli Municipality and in November of the same year he became the Governor, and he remains on the same position till today.

Mr. Levan Gamsakhurdia has a mother – Anastasia Metreveli, who is a pensioner, a wife – Manana Tvaliashvili, doctor by profession and four children: Nato, Ana, Alexandre and Giorgi.

“----A person who grows two grains on the place where there only one was grown, makes great service to the humanity” – said Ilia. I will consider myself to be a happy person if I am able to put at least one brick in the issue of reconstruction of the country”. This is how the Governor of Kvareli Municipality – Mr. Levan Gamsakhurdia begins the interview.

I want to say that it is at the same time difficult and honorable being a Governor of the region where Great Ilia Chavchavadze was born and grown up, where “magicians” of Georgian theatrical domain Kote MarjaniSsjvili and other worthy Georgian people were born.

As you know, Kvareli is one of the most famous regions of Georgia. It differs in cultural and historical monuments, churches and monasteries, wonderful museums and fortresses. There are many natural wonders in Kvareli. All these influenced greatly upon survival and

originality of Georgian nations. That is why each Kvarelian tries to make more and more for the benefit of our nation and country.
Namely, great attention is paid to the development of infrastructure, where large investments are made. We provide intensive works on solving finally water problems. Most part of the Municipality villages is gasified and the works are being continued in his direction. Significant works are made to arrange roads and illuminations. Attention is paid to culture and sport; we build stadiums, sports-grounds. At the level of modern requests we rehabilitated Kvareli sport school. All these are related with the creation of working places.
Territory of Kvareli borders Caucasian range, these conditions floods and other related problems. The Government has made correct and opportune decision by transferring to us respective expensive technique. Necessary sums are allocated and we provide riverbed reinforcement works.



Last year restoration and rehabilitation works of Nekresi Monastery Complex (4th – 16th century) were finished last year. The Monastery attracts with its brilliancy. Today we provide rehabilitation – construction of Gremi Monastery and Museum Complex (15th-16th centuries). Gremi was Kakheti Capital during two centuries. Archeological and historical materials prove, that Gremi was one of the most important commercial and economical centers of Feudal Era.
Nekresi and Gremi became extremely important centers of tourism. Kvareli has incredible Kvareli and Duruji lakes with adjacent resort zones. They consist of the hotels, food services area, and entertainment centers. All these will be available to any guests and tourists that will support development of tourism and creation of additional working places.
With the help of the investors “tunnel” has been built better during recent years, it got to the service of viticulture and winemaking again. It has not only of industrial, but also of museum and tourist importance.
There of course is much to do, but I’ll not make you bored. At the end of our interview I will say that great things are not done at once, it need s much work. Everybody must do their own work. We must love our country, love each other and to follow Ilia’s way.



# Nekresi

Nekresi, a historical city in Kakheti, was built by the King Farnajomi (2nd-1st centuries B.C.) on the mountain slope. In the 4th century King Ordat built a church here, where in the 6th century was settled one of Assyrian Fathers – Abibo, this was when Nekresi Episcopacy was established. Nekresi gained great interest that time. Georgian political and cultural influence upon east Caucasus highlands was spread from this place. Not only Kakheti, but also part of Dagestan was under the Eparchy of Nekresi Episcopacy.

# ნეკრესი

ნეკრესი, ისტორიული ქალაქი კახეთში. მთის ფერდობზე დაარსა მეფე ფარნაჯომმა (ძვ.წ.II-I სს) IV ს-ში მეფე ორდატმა აქ ააგო ეკლესია, სადაც VI ს-ში დამკვიდრდა ერთი ასურელი მამათაგანი –აბიბოს. მის დროს დაარსდა ნეკრესის საეპისკოპოსო. ნეკრესს იმთავითვე მიეცა დიდი მნიშვნელობა; აქედან ვრცელდებოდა ქართლის პოლიტიკური და კულტურული გავლენა აღმოსავლეთ კავკასიონის მთიანეთზე. ნეკრესის საეპისკოპოსოს ეპარქიაში შედიოდა არა მარტო გაღმა მხარე, არამედ დაღესტნის ნაწილიც.





# გრემი

# Gremi



გრემი ფეოდალური ხანის კახეთის ერთ-ერთი სავაჭრო – ეკონომიური და კულტურული ცენტრი იყო. 1466 წელს კახეთის სამეფოს დედაქალაქი გახდა, აქ XV საუკუნიდან ამრავლებდნენ ხელნაწერებს. გრემში მოღვაწეობას ეწეოდნენ დავით მეფე, ქეთევან დედოფალი, თეიმურაზ I და სხვა. გრემთან გადიოდა მნიშვნელოვანი საქარავნო გზები. 1614-16 წლებში აბას I –ის ლაშქრობის შედეგად გრემი გაპარტახდა. მის დაცემაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აგრეთვე დაღესტნის ფეოდალთა გამუდმებულმა თავდასხმებმა.
ტაძარი ააგო კახთა მეფე ლევანმა 1565 წელს, მოხატვა დაუმთავრებიათ 1577 წელს.
ტაძრის აგებამდე გორაკზე კოშკურა შენობა მდგარა, რომლის მესამე სართულზე შემდგომ სამრეკლო დაუშენებიათ.

Gremi was commercial-economical and cultural center of Kakheti of Feudal Era. In 1466 in became capital of Kakheti Kingdom. Since 15th century they spread manuscript from here. King Davit, Queen Ketevan, Teimuraz I and others lived and worked in Gremi. Important caravan way was passing by Gremi. In 1614-1616 it was ruined by the invasion of Abas the 1st, and permanent attacks of the Dagestan feudals played important role in this also.
The temple was built by Kakhetian King Levan in 1565. Its painting was completed in 1577.
Before building the Temple, there was a small building on the hill, on the third floor of which they later built the Belfry.





































ყვარელი ყველა ქართველისათვის წმინდათა წმინდა ადგილია, რადგან აქ დაიბადა ერის მამა, XIX საუკუნის ეროვნულ განმანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე გენიალური ილია ჭავჭავაძე რომელსაც ერმა უგვირგვინო მეფე უწოდა.
სახელოვანი მამულიშვილის უკვდასაყოფად 1937 წელს ყვარელში გაიხსნა მემორიარული მუზეუმი, რომლის საგამოფენო დარბაზებში მემორიალურ ნივთებთან ერთად ქრონოლოგიურად არის წარმოდგენილი მთელი მისი ცხოვრება და შემოქმედება ყვარლიდან წიწამურის ტრაგედიამდე.
მემორიალური ეზოს შუაში დგას XV-XVI საუკუნეების საგვარეულო კოშკი, რომელშიც დაიბადა ილია, შორიახლოს არის მშობლებისეული სამოთახიანი სახლი, ღვინის მარანი, წყლის წისქვილი, ბეღელი, თონე, რომლებშიც წარმოდგენილია უნიკალური მემორიალური ნივთები და ეთნოგრაფიული მასალა. აქვეა ხუთასწლოვანი კაკლის ხე.
1987 წლის 2 აგვისტოს ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ერის მამა წმინდანად შერაცხა და მას შემდეგ იგი წმიდა ილია მართლად იწოდება.

Kvareli is the most sacred place to every Georgian, as Father of the Nation, the leader of national liberation movement of 19th century, writer and public figure genius Ilia Chavchavadze
territory. In 1625 rebellion Georgians led by Giorgi Saakadze destroyed Iranian army sent to annihilate Kartli and Kakheti.
Since 1746 father and son – Teimuraz and Erekle II reigned Kartli and Kakheti. They acted jointly as on the domestic, so – foreign fields. The straggled for hegemony with success in Transcaucasia and defeated Ottoman Khans one after another. Khanates of Yereban, Nakhchevan and Ganja surrendered to Kartli and Kakheti.
In 1752 Erekle and Teimuraz sent ambassadors to Russia, though in vain. In 1760 Teimuraz II left for Petersburg to ask for help. Russia was under war with Prussia and wasn't able to execute request of Georgians. Teimuraz II deseased in Petersburg. In 1762 Kartli and Kakheti was declared to be the united Kingdom.
Telavi is the capital of Kakheti.
Kakheti consists of the districts of Akhmeta, Gurjaani, Telavi, Lagodekhi, Sagarejo, Sighnaghi, Dedoplis Tskaro and Kvareli. Main field of agriculture is viticulture.











# ბედნიერება ღმერთია, რომელიც მუდამ ჩვენთანა

არსებობენ ადამიანები, რომელთა პიროვნული ღირსებისა და სინდისის მოთხოვნა ყველა საქმეს გამორჩეულად სჭირდება, რადგან სახელის და ავტორიტეტის მოპოვება საზოგადოებაში, ყოველთვის ბედის წყალობაზე არ არის დამოკიდებული. იგი ემყარება პიროვნების დამოკიდებულებას საზოგადოებისადმი.

ბატონ მიშა სამხარაულს ყვარელში, „სოკარ ჯორჯია გაზი-კახეთის" სათაო ოფისში შევხვდით, იგი სოკარის სამხარეო გაერთიანების დირექტორია. ის არავის ჩრდილქვეშ ექცევა, რამეთუ კარგა ხანია, საზოგადოებაში მყარი ავტორიტეტი დაიმკვიდრა,. როცა მის ბიოგრაფიულ მონაცემებს გავეცანი, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რესპოდენტის შერჩევაში არ შევმცდარვარ:

ერთგან კონსტანტინე ბრძანებს: „სიმართლის სიტყვას ძალა მაშინ აქვს, როცა მას მართალი, სპეტაკი ადამიანი ლაპარაკობს." თუ ადამიანმა თავი სწორად შეიცნო და მტერი მოყვარედ აქცია, ჩათვალეთ, რომ ცხოვრებისეული მიზანი მიღწეულია. უმთავრესი ერთია, აკონტროლო საკუთარი თავი, რათა საბედისწერო შეცდომა არ დაუშვა. ადამიანი წინასწარ ვერ იტყვის, როგორ წარიმართება მისი ცხოვრება. ხოლო, რამდენად საჭირონი ვართ, ეს ქვეყანამ და საზოგადოებამ განსაჯოს.



ბატონი მიშა დაიბადა კახეთის ყველაზე ლამაზ რაიონში –ყვარელში. სკოლის წარჩინებით დაამთავრების შემდეგ, 1970 წელს სასწავლებლად რუსეთში წავიდა და ჩააბარა მოსკოვის ხორცისა და რძის ტექნოლოგიის ინსტიტუტში, რომელიც 1976 წელს წარმატებით დაამთავრა, განაწილებით კი საქართველოში დაბრუნდა (მიუხედავად დიდი ცდუნებისა, დარჩენილიყო ადგიზე) და მუშაობა დაიწყო საქართველოს ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროში. დიდი იყო ამბიცია და სურვილი, მამის იმედი და ამაგი არ გაეცრუებია. ....მოგვიანებით დაამთავრა აგრარული ინსტიტუტი და დაეუფლა ღვინის ტექნოლოგიის სპეციალობას.



მიღებულმა განათლებამ და სამუშაო გამოცდილებამ თავისი გაიტანა. იგი 26 წლის ასაკში დაინიშნა ყვარლის რძის ქარხნის დირექტორად, მანამდე კი ინჟინერ ტექნოლოგი და წარმოების უფროსი გახლდათ. 1997 წელს დაინიშნა ყვარლის ღვინის ქარხნის „გვირაბის" დირექტორად. მან ყველაზე რთულ პერიოდში არა მარტო შეინარჩუნა წარმოება, არამედ ააღორძინა და წარმატებულიც გახადა. ქარხანა სრულფასოვნად და მთელი დატვირთვით მუშაობდა. საკმაოდ რთული პერიოდი იყო, მთელ ქვეყანას უჭირდა, თითქმის ნდობის ფაქტორიც დაეცა, ამიტომ პიროვნული თვისებები და ავტორიტეტი ბევრს ნიშნავდა.





-დიდი პიროვნება იყო ყოფილი გუბერნატორი გია არსენიშვილი, -ამბობს ბატონი მიშა- როცა ბატონმა გიამ დამნიშნა ქარხნის დირექტორად თან დამმოძღვრა „შენ საქართველოს უნიკალურ განძს „გვირაბს" გაბარებთ და, არა მარტო უნდა შეინარჩუნო, არამედ, უნდა ააღორძინო და საასპარეზოდაც გაიტანოო. ასევე მადლობელი ვარ ექს გუბერნატორის ბატონ -ბიძინა სონღულაშვილის, რომელსაც ძალისხმევა არ დაუკლია ქარხნის ასაღორძინებლად.

ბატონი მიშა ვერიტანს უმადურობას და მადლიერებით საუბრობს იმ ადამიანებზე, ვინც დახმარების ხელი თუნდაც ერთხელ გაუწოდა. კითხვაზე: შეუძლია თუ არა სიძულვილი, მიპასუხა. –ვინც სიძულვილი არ იცის, მას სიყვარულიც არ ეცოდინებაო. ხოლო ბედნიერება მაშინაა ძვირფასი როცა მას ბრძოლით ჰპოვებ, ტანჯვით იყიდი, წინააღმდეგობის გარეშე გამარჯვება და წარმატება არ არსებობსო. ილიასეული ციტირებით გამცა პასუხი.

საქართველო აგრარული ქვეყანაა. პირველ რიგში უნდა აღორძინდეს სოფლის მეურნეობა და გადამამუშავებელი მრეწველობა, ამიტომ, ქვეყნის შიგნით უნდა შეიქმნას საინვესტიციო გარემო. აუცილებელია, ლიბერალური საგადასახადო კოდექსი, უნდა გამარტივდეს საბანკო-საკრედიტო სისტემა, დასანერგია გრძელვადიანი სესხების პროგრამები. თუ საკუთარი ეკონომიკა თავად არ ავაღორძინეთ, სხვა მითუმეტეს ვერ გვიშველის.

... 2007 წელს მოხდა ქარხნის „გვირაბის" პრივატიზაცია და ბუნებრივია შეიცვალა ხელმძღვანელობაც. ის სამსახურიდან წამოვიდა და საკუთარი ბიზნესი წამოიწყო, მევენახეობის განვითარებას მიჰყო ხელი, 25 ჰექტარზე ჩაყარა საფერავის ჯიშის ვენახი და საკუთარ მინი ქარხანაში აწარმოებს ჩამოსასხმელ ღვინოს. ბატონმა მიშამ წლების გამოცდილება საკუთარ შვილს გადასცა და დღეს მინი ქარხნის დირექტორის ფუნქციებს მისი ვაჟი –გიორგი სამხარაული ითავსებს, რომელიც დამოუკიდებლად ახორციელებს კომერციულ და ეკონომიურ საქმიანობას.

ბატონ მიშას შესაძლებლობა ამით არ შემოიფარგლება. მან, მინი ფერმა ააშენა, სადაც 50 მსხვილფეხა პირუტყვი ჰყავს და საკუთარ, რძის ქარხანაში აწარმოებს სხვადასხვა სახის პროდუქციის წარმოებას... მანამდე კი, მან შეიმუშავა პროექტი „ ათასწლეულის გამოძახილლი" გაიმარჯვა და გრანტიც მოიპოვა. გახსნის ცერემონიალს მოწვეულ სტუმრებთან ერთად ამერიკის ელჩი ჯონ ბაიდენიც ესწრებოდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბატონ -მიშას სოკარის სათაო ოფისში შევხვდი. -ბატონო მიშა, როგორ მოხვდით სოკარის გენერალურ დირექტორის თანამდებობაზე?

...ადრე აქ გაზის კანტორა იყო, სააქციო საზოგადოება „ყვარელი გაზი," საიდანაც ხდებოდა გაზის დისტრიბუცია კახეთში. 2007 წელს შემომთავაზეს მემუშავა „ყვარელგაზში" მენეჯერად,... შემდეგ შემოვიდა მსხვილი კომპანია სოკარი და დავიწყეთ მასთან მოლაპარაკება. პრეზიდენტის ბრძანებულობით სოკარს გადაეცა კახეთის რეგიონში მართვის უფლება, გარდა თელავისა. ჩვენ სოკარში წარვადგინეთ გაერთიანების პროგრამა და როგორც მოსალოდნელი იყო ჩემმა პროექტმა „მართვის სტრუქტურა" გაიმარჯვა. სოკარმა გადაწყვიტა ყვარლში დაეტყოვებია სათაო ოფისი, სადაც გაერთიანებულია 7 კომპანია.

თითქმის ყველაფერზე ისაუბრა, საკუთარ დამსახურებებს კი თავს არიდებს. მისი ინიციატივით ხშირად ტარდება საქველმოქმედო ღონისძიებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სოციალურად დაუცველ ადამიანების მიმართ,

მისი პრინციპია: ერთხელ მაინც, ნებისმიერ ადამიანს დაეხმარო. სწორედ ამას ამბობს ილია ჭავჭავაძე: ტყუილია სულთქმა, უში; კაცი უნდა კაცად იყვეს, სანთელივით თვით დაიწვას და სხვას კი გზას უნათებდეს.

ბატონ მიშას მეუღლე –თამრიკო ბურკიაშვილი ექიმი-კარდეოლოგია, მათ ორი შვილი ჰყავთ, ვაჟი –გიორგი, ღვინის ქარხნის დირექტორი, უმაღლესი განათლებით. ქალიშვილი -ნინო









ოცი წლისაა და ბიზნეს სკოლაში სწავლობს.

ბატონო მიშა, რა არის ბედნიერება?
–ბედნიერება ადამიანებზე ზრუნვით მიღებული სიამოვნებაა და სიმართლლისთვის ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვებაა. ჩვენ არ შეგვიძლია ვისარგებლოთ ბედნიერებით, თუ თავად არ ვთესავთ სიკეთეს.

როდის თვლით თავს მარტოდ.
–თითქმის არასდროს. ჩემი ნაკლი თუ ცოდვა ადამიანურ ფარგლებს არასდროსგასცილებია.ადამიანები ერთმანეთს ვჭირდებით, თუ თავს გადავირჩენთ ეს ნიშნავს სულსაც გადავირჩენთ. ძალიან მინდა მუდმივ მოწაფედ დავრჩე, რათა მარადიულ მოძღვრად ვიქცე.

რა ძალა აქვს ფულს - რ ო გ ო რ ც ამბობენ; ფული გაუნათლებელი ადამიანების ხელში ქვეყნისთვის დამანგრეველია, ფულს მხოლოდ წესიერი, ეროვნული ცნობიერების, განათლებულ ადამიანთა ხელში აქვს აღმშენებლობის ძალა.

რა არის წარმატება, რადგან თქვენ ამის გემო იცით. –ეს პირობითი მცნებაა, გარდა ამისა არ ვარ დარწმუნებულლი, რომ წარმატებული ადამიანი ვარ. უბრალოდ, ბოლომდე ვიხარჯები.

კრედო, რომლითაც ხელლმზღვანელობთ ცხოვრებაში. – რა თქმა უნდა ეს პატრიოტიზმია, მე ქართველი ვარ და ყოველივე ქართული ჩემთვის ათვლის წერტილია. შემდეგ კი.... პროფესიონალიზმი არჩეულ სპეციალობაში. დინამიური აზროვნება დროის შესაფერისად. სწრაფვა მიზნის მისაღწევად, ორგანიზაციული ნიჭი და და რაც მთავარია კაცთმოყვარეობა. წარმატებასაც და წარუმატებლობასაც საკუთარ თავს ვაბრალებ, სხვისკენ თითის გაშვერა არ მჩვევია.

-ვერ იტანს ზარმაც, უქნარა ადამიანებს. მისთვის  მიუღებელი ტერმინია -სამსახური ვერ ვიშოვე. ხშირად კითხულობდა დიუმას, უყვარს ჭაბუა ამირეჯიბის –დათთა თუთაშხია. ეთაყვანება ილია ჭავჭავაძეს. თუმცა, გადატვირთული დღის გრაფიკის გამო დღესდღეობით ვერ ახერხებს წიგნის კითხვას და ნაკლებად იცნობს თანამედროვე მწერლობას.
ჰობი: ნადირობა





# Happiness is the God, who is always with me

We meet with Mr. Misha Samkharauli in Kvareli, in the Head Office of “SOKAR Georgia Air Kakheti”. He is the Director of Regional Unit of “SOCAR”. He never stands in the shadow of anybody, as he has already gained a stable reputation among people. When I learnt his biographical data, I was sure again that I had not made mistake in selection of the respondent.

Mr. Misha was born in one of the most beautiful region of Kakheti – Kvareli. In 1970 he left for Russia to learn and entered Moscow Institute of Meat and Milk Technology. He graduated from the mentioned Institute with Excellency in 1976. He was sent to Georgia and began working at the Ministry of Meat and Milk Industry of Georgia. Later he graduated from the Agrarian Institute and was specialized in wine technology.

Education and working experience helped him in his further work. At the age of 26 he was appointed for the Director of Kvareli Milk Factory. Before that he was an engineer-technologist and head of the production. In 1997 he became Directory of Kvareli Wine Factory “Gvirabi” (Tunnel). He was able to keep the enterprise, revive it and make it successful in the most difficult times. In 2007 privatization of the factory “Gvirabi” took place and, of course, management was changed. Mr. Misha left the factory and started own business. He began development of viticulture. He planted Saperavi variety on the area of 25 hectares and produces bulk wine at his own mini-factory. Mr. Misha shared his experience to his son and today functions of the Director of the mini-factory are fulfilled by his son – Giorgi, who realizes commercial and economical work independently.

This is not everything that Mr. Misha is able to do. He built mini-farm with 50 heads of livestock and produces various production at own milk factory: meat, cheese, milk, Sour milk “Matsoni”, cottage cheese… Before this he processed a project “Call of the Millenium” and won grant. Ceremony of grand opening was attended by the Ambassador of the United States of America in Georgia Mr. John Biden. As Mr. Misha explained to us, they conduct monitoring once in three months and participate in the exhibitions. They are going to bring pure-bred cattle from Teleti in early spring. According to his words, he has 25 men employed in the cattle farm. He has own pastures. Mr. Misha added that selling of the production is the most difficult thing.





# ვაზი ოქმენსთან ასოცირდება



ქართული მეღვინეობის ისტორია განუხრელად დაკავშირებულია ქართველი ხალხის მთელ ისტორიასთან. მიუხედავად თავისი განვითარების უაღრესად რთული გზისა,ყურძნის მოყვანისა და მეღვინეობის ტრადიციები, საუკუნეების მანზილზე თაობიდან თაობას გადაეცემოდა.
დღეს, საქრთველოს ღვინოები, საერთაშორისო გამოფენაზე თავისი საუცხოო თვისებების მეოხებით, აღიარებით და პოპულარობით სარგებობს მთელ მსოფიოში, საერთაშორისო გამოფენებზე,კონკურსებსა და დეგუსტაციებზე იღებს უმაღლეს შეფასებას,ოქროს,ვერცხლისა თუ ბრინჯაოს მედლებს.
ვაზი საქართველოსთან მჭიდროდ ასოცირდება. ჯერ კიდე IV საუკუნეში, წმიდა ნინოს ხელთ ეპყრა „ჯვარი ვაზისა" საკუთარი ნაწნავით შეკრული. მგონი არც ერთ ქვეყანას არ აქვს რწმენისა და ვაზის ასეთი საკვირველი სიმბოლიკა მთელ ქრისტიანულ სამყაროში.
შეიძლება ითქვას ქართულმა ვაზმა ისეთივე ჯოჯოხეთი გამოიარა თავისი არსებობის მანძილზე როგორც თვით ქართველმა ხალხმა თავის ტრაგიკულ ისტორიაში. მაგრამ, ამ ადამიანებმა ძლევამოსილად უპატრონა მას,ათასჯერ ხელახლა ახარა იგი და შთამომავლობას სამარადჟამოდ უანდერძა, შეიძლება ისიც ითქვას, ჩვენი ხალხი ვაზში თავის ვაჟკაცურ სულსაც ინახავდა, თავის პატრიოტულ, ამაღლებულ სულს.
საქართველოში უამრავი ჯიშის ღვინო იწურება, ყველა ერთმანეთზე უკეთესი, ლალისფერი, თეთრი, მუქი წითელი, მშრალი, ნახევრად ტკბილი და ასე შემდეგ...
ჩვენი შეხვედრა სააქციო საზოგადოება ქინძმარაულის გენერალურ დირექტორთან ბატონ ნუგზარ ქსოვრელთან ყვარელში შედგა. ქარხნის ეზოში შესვლის უმალ ჩემი ყურადღება დროშების სიმრავლემ მიიპყრო, როგორც აღმოჩნდა, ეს იმ ქვეყნების საპატივცემულოდ იყო, სადაც ხდებოდა აღნიშნული ქარხნის ღვინის ექსპორტი, ხელმარჯვნივ სადეგუსტაციო დარბაზი და მაღაზიაა, სიმართლე რომ გითხრათ უცხოელების სიმრავლით გავვოცდი კიდეც. უზარმაზარ მარანში თავს იწონებდა ძველი და ახალი ღვინის კასრები...
იშვიათად შევხვედრივარ ადამიანს ასე ძლიერ რომ უყვარდეს თავისი საქმე. ასე მგონია ეს

ადამიანი თავიდან ბოლომდე ამ საქმიანობით ცოცხლობს. საუბარს თავმდაბლად იწყებს, თუმცა ცდილობს ყველა კითხვაზე ამომწურავი პასუხი გამცეს.

ბატონო ნუგზარ, სხვა ღვინოებისაგან განსხვავებით რა უპირატესობა აქვს ქინძმარაულს. გარდა ამ დასახელებისა, რა ალკოჰოლიან დასალევებს უშვებთ და სარეალიზაციოდ გაგაქვთ ადგიობრივ თუ უცხოეთის ბაზარზე?

დავიწყებ იმით, რომ სს კორპორაცია “ქინძმარაული” 1991 წელს დაფუძნდა ძველი ქინძმარაულის ქარხნის ბაზაზე, საწარმოს დამფუძნებელი ორასამდე ადგილობრივი მოსახლეა. ამ ადგილას მე- 16 საუკუნის დასაწყისიდან, (როდესაც დასრულდა ყვარლის ციხის მშენებლობა,) მოყოლებული უწყვეტად იწარმოება ღვინო და ჩვენ ბედნიერები ვართ, რადგან ვაგრძელებთ ჩვენი ღირსეული წინაპრების საქმიანობას.

რაც შეეხება “ქინძმარაულს” ეს არის მეღვინეობის სპეციფიური ზონა, განსაკუთრებული ნიადაგურ კლიმატური პირობებით, რაც თავის მხრივ განაპირობებს საქართველოში ყველაზე პოპულარული დასახელების ღვინის განსაკუთრებულად მაღალ ხარისხს. ამასთან “ქინძმარაული” ადგილწარმოშობის დასახელებაა იმ ღვინოებისათვის რომლებიც წარმოებულია აღნიშნულ სპეციფიურ ზონაში და გააჩნიათ შესაბამისი ხარისხი. ამ ყველაფრის გამო ადგილწარმოშობის დასახელება დაცულია და კონტროლდება სახელმწიფოს მიერ.

ქინძმარაულის სახელით ბევრი საწარმო აწარმოებს ღვინოს. ამის უფლება აქვთ მათ, ვინც ღვინოს ქინძმარაულის სპეციფიური ზონის ვენახებში მოწეული ყურზნიდან დააყენებს. სამწუხაროდ პოპულარობასთან ერთად იზრდება აღნიშნული დასახელების ღვინოების გაყალბების შემთხვევებიც.

იმის გამო, რომ მომხმარებელი ხშირად აიგივებს ღვინოსა და მწარმოებელს ჩვენ დავიწყეთ სახელის შეცვლაზე ფიქრი და ბაზარზე გამოვიდა ჩვენი ახალი კოლექცია “დურუჯი ველი”-ს დასახელებით. სადაც ძირითადად ტრადიციული ტექნოლოგიით დაყენებული ღვინოებია, თუმცა გვაქვს ახალი ღვინოებიც რომლებსაც მხოლოდ ჩვენი მარანი აწარმოებს.

გარდა ღვინისა ჩვენი ქარხანა აწარმოებს ღვინის ბრენდს და ტრადიციულ კახური ჭაჭის არაყს მამაპაპური ტექნოლოგიით.





# ჩვენი ორგანიზაციის ისტორია

კორპორაცია "ქინძმარაული" სააქციო საზოგადოებაა 50%-Iტ, ამიტომ ხმის უფლებით არც ერთი აქციონერი არ სარგებლოლბს. საწარმოში დასაქმებულია 80 თანამშრომელი, მათი ანაზღაურება საშუალოდ 400 ლარის ოდენობით განისაზღვრება.
ჩვენი პროდუქცია მსოფიოს ათ ქვეყანაშია ექსპორტირებული: ამერიკა, კანადა, ჰოლანდია, პოლონეთი, გერმანია, ჩეხეთი, უკრაინა, ბელორუსი, ყაზახეთი, იაპონია.

კორპ. ქინძმარაულის თვითოეული თანამშრომელი მომართულია მაღალხარისხოვანი და ამავე დროს ტრადიციული ღვინის წარმოებაზე, რაც მთავარია კორპორაცია ქინძმარაულის პროდუქცია მაქსიმალურად უნდა იყოს მომხმარებელზე ორიენტირებული, რადგან სწორედ ჩვენი მომხმარენლის აზრია ყველაზე მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი.
... ჩვენ, ვენახები იმაზე მეტი გვაქვს, ვიდრე ღვინოს ვყიდით, რაც პირველ რიგში გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ ვიმუშავოთ ხარისხზე. ახალი ბრენდი "დურუჯი ველი" უკვე რეალიზაციაშია და ახალი დასახელებისათვის საკმაოდ წარმატებულიც.
მთლიანობაში კორპორაცია 25 დასახელების ღვინოსა და 10 მდე დასახელების მაღალალკოჰოლურ სასმელს აწარმოებს. მინდა აქვე აღვნიშნო, რომ ჩვენ გაგვაჩნია ორი შვილობილი კომპანია: კონჭო & კომპანი და კახეთი კომპანი, სადაც ასევე ვაწარმოებთ მრავალი დასახელების ღვინოსა და ღვინის ბრენდს.

და ბოლოს, დარწმუნებით მინდა ვთქვა, რომ საქართველოში მეღვინეობა ის დარგია, რომელიც რწმენისა და ენის მსგავსად არასოდეს დაიკარგება.





# *Vine is associated with faith*

We met CEO of the Joint Stock Company Kindzmarauli Mr. Nugzar Ksovreli (Qsovreli) at Kvareli. My sight was attracted by the large number of flags in the factory yours. As it appeared later, it was in honor of the countries where the export of the wine made by the mentioned factory was provided. There are tasting room and a shop. Telling the truth, I was surprised by the large number of foreign visitors there. There were barrels of old and new wine in the cellar…

I meet such persons who love what they do so much, very seldom. I consider this man to live with his business. He begins speaking modestly, though tries to give comprehensive answer on each question.

…JSC “Kindzmarauli” was established in 1991 on the base of old Kindszmarauli plant. Founders of the Enterprise are about two hundred local residents.

Except wine, our factory manufactures wine brandy and traditional Kakhetian “Chachis Araki” (Marc Vodka) made by old technology. Our production is exported to ten countries of the world; they are: America, Canada, Holland, Poland, Germany, Czech Republic, the Ukraine, Belarus, Kazakhstan, and Japan.

…Our vineyards are more in quantity, than sold wine; this, in the first place, gives us opportunity to work of the quality. New brand “Duruji Veli” is in realization already and quite successful for new variety.

In total, the Corporation manufactures wine of 25 varieties and about 10 high alcoholic spirits. I want to say that we have to subsidiaries: “Koncho & Company” and “Kakheti Company”, where we produce wine and wine brandies of many varieties.





# ლაგოდეხის რაიონი

ლაგოდეხის რაიონი აღმოსავლეთ საქართველოში მდებარეობს. ჩრდილოეთით ესაზღვრება დაღესტანი, სამხრეთით გურჯაანისა და სიღნაღის რაიონები, აღმოსავლეთით აზერბაიჯანი, დასავლეთით ყვარლის რაიონი. რაიონში შედის ერთი საქალაქო (ლაგოდეხი) და 14 სასოფლო საბჭო, სულ 63 სოფელი.

ლაგოდეხის რაიონის ჩრდილო ნაწილი გაშლილია კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, სამხრეთ ალაზნის ვაკეზე. კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი, რომლის სიმაღლე 3500 მ სიმაღლეს აღწევს შედარებით ნაზკონტურებიანი რელიეფით გამოირჩევა. აქა-იქ შემორჩენილია მყინვარული ცირკები და კარები. თხემზე განლაგებულია მწვერვალები; ჩარასლელისთავი (2667 მ), ხიმრაკი (3109 მ) ნესელოოს (2928 მ), ხოჩალდაღი (3428 მ). უღელტეხილები; ხიმრაკი, მხხალოვანის, მაჩხალოოს. კავკასიონის სამხრეთ კალთაზე განვითარებულია მოკლე, გარდიგარდმო ეროზიული ხეობებით ძლიერ დანაწევრებული ციცაბო მთა-ხეობათა რელიეფი. კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედს გამოყოფს რამდენიმე ტოტი: მდინარეები მაწიმისწყლისა და ლაგოდეხისწყლის წყალგამყოფი ხოჩალის ქედი, ლაგოდეხის წყლისა და შრომისხევის წყალგამყოფი კუდიგორის ქედი. ალაზნის ვაკეში სამხრეთით ეშვება ნინოსხევისა და ბაისუბნის წყალგამყოფი უღელტეხილის ქედი. მდინარეებს ბაისუბანსა და კაბალს შორის აღმართულია მხხალოვანის ქედი, ხოლო კაბალსა და შრომხევ-არეშს შორის – ჭიაურისთავის ქედი. ოროგრაფიული ერთეულებიდან მნიშვნელოვანია მდინარეთა ხეობები, რომლებიც ღრმად არიან ჩაჭრილნი, აქვთ ვიწრო ძირი და ციცაბო კალთები.

ჰავა ვაკეზე ზომიერად ნოტიო სუბტროპიკულია. ზამთარი ზომიერად ცივი, ზაფხული ცხელი. აგვისტოს მაქსიმალური ტემპერატურა +24, ხოლო მინიმალური -23 გრადუსამდე ეცემა. ახასიათებს გვალვა და სეტყვიანობა, რაიონის მთიან ნაწილში ზომიერი ნოტიო ჰავაა.

გარდა მდინარე ალაზნისა, რომელიც რაიონს სამხრეთ საზღვარზე ჩამოუდის, არის სხვა მდინარეები: მაწიმისწყალი, ლაგოდეხისწყალი, შრომისხევი, ნინოსხევი, ბაისუბანი, კაბალი, არეში, აფენისხევი. ამ მდინარეების სათავე კავკასიონის მაღალმთიან ზონაში აქვთ და ტიპიური მთის მდინარეებია. ალაზნის ვაკეზე გადმოსვლისას ახასიათებთ კლაკნილობა, დატოტვა. მდინარეების საზრდოობაში მონაწილეობს წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყალი. ზოგი მდინარე ღვარცოფულია. რაიონის ალაზნის ზონაში რამდენიმე

ლაგოდეხის ნაკრძალში არის რამდენიმე მინერალური წყაროები. ნაკრძალი მდებარეობს კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთაზე. დაარსდა 1912 წელს, უჭირავს 17668 ჰა (72%) დანარჩენი 5322 ჰა ალპური საძოვრებია.

ისტორიული ძეგლებია: ლელიანის წმინდა თევდორეს (X-X ს.), ფონის, არეშფერიანის და ხოშაგის ეკლესიები.

# Lagodekhi District

Lagodekhi district is located in Eastern Georgia. It is bounded by Dagestan to the North, Gurjaani and Sighnaghi districts to the south, Azerbaijan – to the east and Kvareli district – to the west. There is one municipal (Lagodekhi) and 14 rural boards in the District. There are 63 villages.

Northern part of Lagodekhi district is spread on southern slope of Caucasus, southern Alazani valley. The main watershed range of Kakhetian part of the Caucasus, which reaches 3500 meters height, differs in relatively gentle contoured relief. There are some glaciers. On the crown there are peaks: Charasaldistavi (2667 m), Khimriki (3108 m), Nusulosa (2928 m), Khochaldaghi (3428 m); the passes of Khimriki, Mskhalgora, Machkhalosa. On the southern slope of Kakhetian Caucasus there is developed relief of steep mountains and ravines with short cross erosion ravines.

There are several branches arranged from the main watershed of the Caucasus, they are: the rivers: Khochala watershed slope of Matsimistskali and Lagodekhistskali, Kudigori Kedi watershed of Lagodekhitskali and Shromistkhevi. Ninoskhevi and Baisubani watershed enters into Alazani valley from the south. There Is Mskhalgora Slope between Baisubani and Kabala rivers, and Jvaristavi slope – between Kabala and Shrokhev-Areshi ravines; they go deep down having narrow bottom and steep slopes.

Climate is much more mildly humid subtropical than that of the planes. Winter is moderately cold, and summer – hot. Maximum temperature of in August is +24oC, and minimal temperature falls to 23oC. It is characterized with drought and hail. There is moderately humid climate in the highlands of the District.

Except the Alazani, which flows on the southern border of the District, there are other rivers as well, they are: Mitsimistskali, Lagodekhistskali, Shromiskhevi, Ninoskhevi, Baisubani, Kabala, Areshi, Afeniskhevi. These rivers begin from the mountain zone of Caucasus and they are typical mountain rivers. Alazani is characterized by tortuous and branched contour on the plain. Rain, snow and underwater feed the rivers. Some rivers are of mudflow kind.

There are some springs in Lagodekhi Reserve. The Reserve is located on the southern slope of main range of Caucasus. It was established in 1912; It is spread on the territory of 14668 ha (72%), remained 5322 ha is Alpine pastures.

Historical monuments are: Leliani church of saint Teudore (10th-11th centuries), as well as the churches of Poni, Areshferani and Khoshati.

# "მოტივაცია აუცილებელია მიზნის მისაღწევად"



რთული პერიოდები საქართველოში იშვიათობა არ გახლავთ. ეს ჩვენი ისტორიაა. გეოგრაფიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე არც ბუნება გვანებივრებს სტაბილურობით. სტიქიები, მათ შორის წყალდიდობა ჩვენი მდინარეების ხასიათის გამოვლინებაა. ადამიანი კი, ზრუნავს სიცოცხლის დასაცავად, თუნდაც მინიმალური კომფორტის მოსაპოვებლად და, რა თქმა უნდა, სიმშვიდის შესანარჩუნებლად. მოგეხსენებათ, რომ ეს უკანასკნელი, დაბრკოლების გარეშე არ არსებობოს, მაგრამ, როცა მოტივირებული ხარ, იცი რა გინდა, დარწმუნებული ხარ, რომ ეს შენს ხალხს წაადგება და სწორედ ეს დიდ სტიმულს გაძლევს.

დიმიტრი ლოლაძე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი გახლავთ. დაიბადა 1964 წლის 20 სექტემბერს.

ზოდიაქოთი დრაკონი; დრაკონი აძლევს სასიცოცხლო ძალას, აქტივობას, პრინციპულობას. მას არ შეუძლია იყოს ფლიდი, მეწვრილმანე, ენამწარე. თუმცა არც გულუბრყვილოა, იგი მგრძნობიარეა. ლტოლვა სრულყოფისაკენ მას ხდის მომთხოვნს როგორც საკუთარი თავისადმი, ისე სხვებისადმი. იგი ზედმიწევნით ორგანიზებულია. ბევრს მოითხოვს, მაგრამ აკეთებს უფრო მეტს.

რას ნიშნავს, იყო რაიონის გამგებელი?

ყოველდღიური შრომა ხალხთან და საკუთარ თავთან, ეს მძიმე ტვირთია, თუმცა საამაყო და ღირსეული. მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება ლაგოდეხს უკავშირდება,იმდენად მიყვარს ჩემი რაიონი,რომ მოსკოვში, პირველი კურსის დამთავრების შემდეგ ინსტიტუტში არ დავბრუნებულვარ. მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი. ამ გადასახედიდან თითქოს ვნანობ კიდეც,უნდა დამემთავრებია. თუმცა,როგორც კი დავბრუნდი საქართველოში, მომიხდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრება, ოღონდ დაუსწრებლად.

ვიდრე გამგებლად აგირჩევდნენ იყავით გამგებლის მოადგილე,აქედან გამომდინარე კარგად იცნობდით რაიონის პროლბლემებს...

მინდა ვთქვა,რომ ჩემი წინამორბედი არაჩვეულებრივი პიროვნებაა,ჩვენ ერთი გუნდი ვიყავით და რაიონის სატკივარზეც ერთად გვიხდებოდა ფიქრი. ბევრი რამ გაკეთდა და ბევრი დარჩა გასაკეთებელიც. ჩვენ ვალდებული ვართ ხალხის აზრი მოვისმინოთ და მათი პრობლემები მოვაგვაროთ. განსხვავება ისაა, რომ შენს ხალხს ნება უნდა ჰქონდეს, არ უნდა იყოს დაძაბული სიტუაცია ქვეყანაში. ხალხმა უნდა დაინახოს წინსვლის დინამიკა,არ უნდა მოატყუო, სწორი გზით უნდა ატარო. ხელისუფლება ურთიერთ თანამშრომლობის საფუძველზე უნდა ქმნიდეს მომავალს. უნდა აკეთო,რაც საჭიროა და არა მხოლოდ ის, რაც შეგიძლია.

...სამწუხარო მხოლოდ ისაა,რომ როგორც კი ერთი საკითხი მოგვარდება,იქვე მეორე იჩენს თავს. ჩვენი რაიონის მოსახლეობა თავს ვერ აღწევს სტიქიურ მოვლენებს, ბუნებრივ კატაკლიზმებით გამოწვეულ წყალდიდობებს და ღვარცოფებს. იმდენად დიდი იყო ბოლო დროს მოვარდნილი ღვარცოფი, რომ არანაირი კალაპოტი საკმარისი არ აღმოჩნდა, დაიტბორა თითქმის ყველა სახლის პირველი სართული, წყალმა წაიღო ზამთრის სარჩო -საბადებელი, მსხვილფეხა პირუტყვი და ფრინველი, ადამიანები შოკში ჩავარდნენ...

უპირველესად რაიონის ყველა მდინარეზე ახალი ხიდები აღსდგება, ამ სტიქიისგან მოსახლეობამ და სახელმწიფომ დაახლოებით 5-7 მილიონ ლარამდე ზარალი განიცადა. წინასწარ იმის განჭვრეტა, ბუნება როდის შემოგვიტევს, შეუძლებელია. ქვეყნის ხელისუფლებასთან ერთად ყველაფერი კეთდება რათა დროულად დაუბრუნდეს რაიონი ჩვეულ რიტმს, ისევ მიიღოს არაჩვეულებრივი ტურისტები ღია ზოოპარკში,ნახონ უიშვიათესი ნაკრძალი, ულამაზესი ჩანჩქერები და ეგზოტიკური ბუნება,იმოგზაურონ ფლორისა და ფაუნის ზღაპრულ სამყაროში. აქ ყველა პირობა დახვდებათ, რომ თავი კარგად იგრძნოთ, და დაუვიწყარი მოგონებები გაჰყვეთ აქედან.

# “Motivation is necessary for achievements”

There always were difficult periods in Georgia. It is the part of our history. Nature is not stable as well, because of our geographical location. Natural disasters, floods are expressions of the character of our rivers. A human cares for protection of life, even for obtaining minimal comfort and, of course, to keep peace. You must know that this latest can not be achieved without barriers, though, when you are motivated, when you know what you want and you are sure that this will benefit your people, this is what stimulates you.

Dimitri Loladze is the Governor of Lagodekhi Municipality. He was born on September 20, 1964.

Dragon by zodiac; the dragon gives vital power, activity, principality. It can not be double-faced, avaricious or harsh. Though he is not naïve; he is sensitive. Aspiration towards perfection makes him demanding as to himself, so to others. He is thoroughly organized. Requests much and makes more.

What does it mean to be a Governor?

Daily work with the people and own-self, this is a hard burden, though of pride and dignity. Whole my life is related with Lagodekhi. I love my region so much that I didn’t return to Moscow after finishing the first year of the institute there. I was very young then. Today I even regret it, I was to graduate it. After returning to Georgia, I had to finish Polytechnic Institute extramurally.

Before being elected for the Governor you were Deputy Governor and you might know problems of the region.

I’d like to say that my predecessor was an incredible person; we were one team and were to think over the pain of the region together. Much has been done and there is much to do. We are obliged to listen to the people’s mind and solve their problems. Distinction is the fact that your people must have the will. Situation in the country mustn’t be strained. People must see the dynamics of the progress. You must not lie to them and lead them to the correct direction. Government must create future on the basis of collaboration. You must do what is to be done and not only what you are able to.

The saddest thing is that upon solving one problem, another one appears. Residents of your region van not overcome natural disasters, which give rise to the floods and landslides.

We can not stop it, ground floors of almost every house are flooded; water destroyed food supplies, cattle and poultry; the people were shocked…

Bridges were restored almost over every river. Population and the state lost about 5-7 million GEL. Prediction of natural disasters is impossible. With the support of the State Government we do everything to return the region to normal rhythm, to receive tourists to the Open Zoo, to see the rare forest reserve, the most beautiful waterfalls and exotic nature, to have a tour in the fairy world of flora and fauna. Here they will have any condition to feel good and take unforgettable memories.

















































# დედოფლისწყარო

რაიონი აღმოსავლეთ საქართველოში, ივრის ზეგანზეა განლაგებული. აღმოსავლეთით და სამხრეთით ესაზღვრება აზერბაიჯანი, დასავლეთით და ჩრდილოეთით – სიღნაღის რაიონი. საერთო ფართი 2531,7 კმ2. რაიონში არის ერთი საქალაქო (დედოფლისწყარო), 11 სასოფლო საბჭო და 16 სოფელი.

რაიონი გაშლილია ძირითადად ივრის ზეგანზე, უჭირავს აგრეთვე გომბორის ქედის მცირე მონაკვეთი და მდინარე ალაზნის ხეობის უკიდურესი სამხრეთ აღმოსავლეთი ნაწილი. ტექტონიკურ რელიეფზე დაშენებულია ეროზიული ხეობები, ხრამები, მდინარეული ტერასები, ბედლენდები, ტალახის ვულკანები და სხვა. რაიონის ტერიტორიაზე აღმართულია მთები: უზუნდარა, ჩალოხევი, ქვაბები, ბილენითა, ნიკორაციხე, ორი ძმა და სხვა. დედოფლისწყაროს მახლობლად მესამეულის ნალექებში აღმოჩენილია ზღვაურული კირქვები, რომლებიც ქმნიან კოშკისმაგვარ და გუმბათისმაგვარ კლდოვან ფორმებს. მნიშვნელოვანი წიაღისეულია ნავთობი და კირქვები.

ჰავა ზომიერად ნოტიო სუბტროპიკულია. ძირითადად არის ორი ტიპის ჰავა. სამხრეთით ცხელზაფხულიანი, ზომიერად თბილი სტეპების ჰავაა, ზამთარი ზომიერად ცივი. ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა +35 – 40 გრადუსია, ხოლო მინიმალური –26 –32 გრადუსი.

შიგა წყლებით რაიონი ღარიბია. აღმოსავლეთ საზღვართან ჩამოუდის მდინარე ალაზანი, დასავლეთ ნაწილს კვეთს მდინარე იორი, მაგრამ ტერიტორიის უდიდესი ნაწილი მოკლებულია მუდმივ მდინარეებს, აქ მხოლოდ პატარა პერიოდული მდინარეებია. შენდება წყალსაცავები.

ნიადაგები საკმაოდ მრავალფეროვანია. სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგებია მეცხოველეობა, მარცვლეულის კულტურის წარმოება, მევენახეობა. განვითარებულია მოპოვებითი მრეწველობა, მირზაანსა და პატარა შირაქში იღებენ ნავთობს.

რაიონის ხუროთმოძღვრების ძეგლები. ზანის მახლობლად ღვთის ამაღლების გუმბათოვანი ტაძარი (X ს.), სამების ეკლესია (შუასაუკუნეების ტაძარი), დედოფლისწყაროს მახლობლად ხორნაბუჯის ციხე და სხვა.

# Depoflistskaro

District is eastern Georgia located on Jori table-land. It is bounded by Azerbaijan to the east and south and by Sighnaghi district to the west and north. Its total area is 2531.7 km2, There is one municipal (Dedoplistskaro), 11 rural boards and 16 villages.

The region is mostly spread on Jori table-land. It occupies small part of Gombori range and extreme south-eastern part of Alazani range. Erosion ranges and ravines, as well as river terraces, badlands, mud volcanoes and others are built on tectonic relief. On the tertiary precipitates there is upper juristic limestone, which creates dome-like and tower-like rocky forms. Important minerals are oil and limestone.

Climate is moderately humid-subtropical. There basically are climates of two kind; there is hot summer to the south and moderately warm climate of steppes; winter moderately cold. Maximal temperature of air +35-40oC, and minimal -26-32 oC.

The region is poor in water. It is washed by the river Alazani to the east, western part is crossed by the river Jori, though there is the lack of rivers on the most part of the territory. Here are only small periodical rivers. Reservoirs are being built.

There is variety of soil. Leading fields of agriculture are cattle breeding, grain production, viticulture. Extractive industry is developed as well. They extract oil in Mirzaani and Patara Shiraki.

Architectural monuments of the District are: Domed temple of the Ascension near Zaani (9th century), Church to Holy Trinity (medieval temple), Khornabuji fortress close to Dedoplistskaro and others.



ზოგი ჭირი მართლაც მარგებელია და რუსეთის მიერ 2006 წელს გამოცხადებული ემბარგოს შემდეგ ქართული მეღვინეობა განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა, ბევრისთვის მოულოდნელი წარმატებებითაც კი. ემბარგოს ერთგვარ სიკეთეს ღვინის ის მრეწველებიც აღიარებენ,რომლებმაც ყველაზე მეტად იზარალეს რუსეთის ბაზრის მოულოდნელი ჩაკეტვით. ეს იყო ერთგვარი შოკური თერაპია. ახლა ყველა კომპანია იძულებულია, გააუმჯებესოს პროდუქციის ხარისხი, რადგან ევროპისა თუ ამერიკის ბაზარზე სრულიად სხვა სტანდარტებია. სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით მოხდა ჩვენი შეხვედრა ახალგაზრდა და ნიჭიერ ფერმერთან -ნიკოლოზ ბენიანიძესთან.

... დაიბადა დედოფლისწყაროში,1978 წელს. დაამთავრა აგრარული უნივერსიტეტი, ბაკალავრია, მოგვიანებით მაგისტრატურა და ასპირანტურა. სტუდენტობისას სპორტით იყო დაკავებული და მსოფლიო ჩემპიონატზე პირველ ხუთეულში მოხვდა.. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო სოფლის მეურნეობის სამინისტროში, იყო დედოფლისწყაროს საკრებულოს წევრი და საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი. აქტიური და მიზასწრაფულია, არ ეგუებოდა დაბრკოლებებს, ხასიათდება როგორც უშუალო და პირდაპირი, თუმცა პოლიტიკოსისა და საქმიანი ადამიანისათვის პირდაპირობა ყოველთვის მომგებიანი არ არის. ის ამბობს, რომ საკმაოდ კომუნიკაბელურია და საკუთარ თავს არასოდეს შორდება.

...ფერმერი ვარ. პოლიტიკაში, სადაც ულმობელი პრინციპებია დამკვიდრებული სწორედ აქედან მოვედი, მაგრამ მივხვდი, რომ საკუთარი თავის რეაბილიტაციას იქ ვერ შევძლებდი და უკანვე დავბრუნდი. დღეს, კვლავ ფერმერი ვარ. ეს იოლი არაა, საკმაოდ შრომატევადი და დამღლელია. მთავარია, იცოდე რა გინდა, ჩამოყალიბდე და სწორად გათვალო ყოველივე. თუმცა, არაერთგზის გვქონია დაბრკოლება და ბრძოლა ბუნებრივ კატაკლიზმებთან. 50 ჰექტარი ვენახი სიცხისგან გადაიწვა, წარმოგიდგენიათ ეს რას ნიშნავს? არაერთგზის მოგვიხდა საქმის ნოლიდან დაწყება, გადამწვარი ვენახების ამოძირკვა და ახალი ვენახის გაშენება... მერე? მერე ლოდინი ოთხი წელი...

ბაზარზე ჩვენი ღვინო „მილარი"-ის სახელით გამოდის, გარდა ამისა ვაწარმოებთ ჭაჭის არაყს და კონიაკს. მთავარი ღვინოა, ხარისხიანი და ნამდვილი.

რა არის ღვინო? ერთი შეხედვით, პასუხის გაცემა ადვილია –ყურძნის წვენისაგან მიღებული პროდუქტი! მაგრამ საქმე ბევრად რთულადაა, ვიდრე ჩვენ –მეღვინეობის სამშობლოდ აღიარებული ქვეყნის მოქალაქეებს წარმოგვიდგენია. ჯერ ერთი, დაწურვამდე ყურძენს მოყვანა უნდა, რაც გულისხმობს ვენახის სწორად გაშენებას, ჯიშების შერჩევას და მოსავლის მიღებამდე, სულ ცოტა ოთხწლიანი ტიტანურ შრომას, რასაც ჩვენი წინაპრები „ვაზის შვილივით მოვლას" უწოდებდნენ. ამის შემდეგ, საკითხავია, როგორ ვკრეფთ ყურძენს, სად ვწურავთ და როგორ ვაყენებთ იმ სასმელს, რასაც შემდეგ ღვინო უნდა დავარქვათ.

ვიღაცას, დუქანში ჩამოსხმული სითხეც ღვინო ჰგონია, ზოგიერთი ადესის ღვინოს აქებს, რომელსაც არცერთ თავმოყვარე ქვეყანაში არ სვამენ. ...უფრო რთული შემთხვევებიც არსებობს...

...ვიდრე საკრებულოს წევრი გავხდებოდი ვიბრძოდი იმისათვის, რომ ჩემს რაიონს 24 საათის განმავლობაში წყალი ჰქონოდა, და როცა საკრებულოს წევრი გავხდი დავსვი საკითხი წყლის სათავე ნაგებობა და მილები გაგვეახლებია.

ბატონი ნიკო დაიბადა ქართულ ტრადიციულ, ქრისტიანულ ოჯახში, დედა -მარიამ გვრიტიშვილი პედაგოგია,მამა -- ვეტექიმი. ყავს ერთი ძმა –მამა გაბრიელი,მსახურობს დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში. აქვე ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ბატონ ნიკამ მშობიურ სოფელს ტაძარი აუგო და უახლოეს მომავალში ამოქმედდება. არის არაჩვეულებრივი შვილი, მზრუნველი მამა და მეუღლე. საყვარელი მწერალი ჭაბუა ამირეჯიბი და კონსტანტინე გამსახურდია.



ღვინო ვენახიდან იწყება





According to the Georgian proverb “Some problem is useful” and truly, after Russian Embargo Georgian winemaking moved to the new stage and it made definite success in it. Benefit brought by the Embargo is recognized by the manufacturers, who suffered from unexpected closing of Russian Market the most. This was a kind of “shock therapy”. Today each company has to improve quality of the production, as there are absolutely different standards at European and American markets. This was the main issue we wanted to discuss with a young and talented farmer Mr. Nikoloz Benianidze.

…He was born in Dedoflistskaro, in 1978. He graduated from Agrarian University with Bachelor’s Degree, later he finished Master’s programmed and postgraduate scholarship. He went in for sports when being a student and he was in the first five winners at the World Championship, though he was to stop training because of lack of money. After graduation he began working at the Ministry of Agriculture; he was the member of Dedoflistskaro City Council and Acting Chairman of the Council. He is active diligent; he is not stopped by obstacles; he is characterized as immediate and direct person, though such characteristic feature is never profitable to the politician and a businessman. He considers himself to be quite sociable persona.

…I am a farmer. I came to the politics from there, though I realized that I wouldn’t be able to rehabilitate myself there and returned back. I am a farmer today. It is not easy to be a farmer. It is quite laborious and tiring. Main thing is to know what you want and to foresee everything; though we have had obstacles on our way and fighting with natural cataclysms many times. Vineyard of 50 hectares was burnt from intense heat; can you imagine what it means? We were to start everything from the beginning several times, to uproot burnt vines and build new vineyards… and then waiting for four years…

Market name of our wine is “Milari”. In addition we produce Marc Vodka and cognac. Main product is the true wine of high quality.

What is a wine? It is easy to answer this question at one glance – it is the product made of grape juice! Though it is much difficult issue, as we, the citizens of the country, which is recognized to be the cradle of viticulture, consider it to be. In the first place, grapes need to be grown before crushing that means correct cultivation of the vineyard, selection of species and at list four years of hard work before receiving first harvest. This is what our ancestors called to be “to care the vine as a child”. After this you must ask how we pick grapes, where are they crushed and how we use the drink which must be called the wine later.

Some people consider the liquid bottled in the shebeen to be the wine, some praise wine “Adesa”, which is not drunk in any self respective country. …there are even much more difficult cases…

…Before becoming the member of the City Council I had been fighting for 24 hour water supply to my Region; after becoming the Member, I brought up an issue of renewal of the spring well and water pipes.

He was born in traditional Christian Georgian family. His mother – Mariam Gvritishvili is a teacher; father – veterinary. He has one brother – father Gabriel, who serves at Dedoflistskaro Church dedicated to St. Mary. I would like to note that Mr. Nika has built a church in his native village which will be sanctified in the close future. He is incredible son, caring father and a spouse.

His favorite writers are Chabua Amirejibi and Constantine Gamsakhurdia.

# *Wine begins in the vineyard*







































# სიღნაღის რაიონი

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოს ვერც ერთი ქალაქი ვერ დაიკვეხნის ისეთ პოპულარობას, როგორც სიღნაღი, არც ერთ ქალაქის აღდგენას არ მიუღია ისეთი მასშტაბი, როგორც სიღნაღს ერგო წილად. ხელისუფლებამ და ინვესტორებმა ძალ და ღონე არ დაიშურეს, არქიტექტორებმა ცოდნა და სიღნაღელებმა საკუთარი ქალაქის ერთგულება, აგრეთვე , ამას ხელი შეუწყო ტურისტების მზარდმა ინტერესმაც და იმ დიდმა მადლმაც, რომელიც სიღნაღის მისადგომებთან მდებარე ბოდბის მონასტრიდან მომდინარეობს. ყოველივე ამან კი სიღნაღს სიყვარულის ქალაქის სტატუსიც მოუტანა.

რაიონი აღმოსავლეთ საქართველოში. 1917 წლამდე სიღნაღი თბილისის გუბერნიაში შედიოდა და სიღნაღის მაზრას ეწოდებოდა. ლაგოდეხს ჩრდილოეთ აღმოსავლეთით ესაზღვრება ლაგოდეხის რაიონი და აზერბაიჯანი, სამხრეთით წითელწყაროს რაიონი, ჩრდილო-დასავლეთით გურჯაანის და საგარეჯოს რაიონები, აღმოსავლეთით წითელწყარო. ფართი 1251,7 კმ2. ადმინისტრაციული ცენტრი ქ. სიღნაღი, რაიონში შედის ორი ქალაქი, 12 სასოფლო საბჭო და 23 სოფელი. რაიონის ჩრდილოეთ ნაწილი გომბორის ქედიდან მდინარე ალაზნამდე ეშვება ალაზნის აკუმულაციურ ვაკეს. ვაკე ჩრდილოეთით დადაბლებულია, სამხრეთით შედარებით ამაღლებული, დახრილია ჩრდილოეთ დასავლეთიდან სამხრეთ აღმოსავლეთისაკენ. მდინარეზე აქა-იქ ამართულია 3-6 მ შეფარდებითი სიმაღლის გორაკები, რომლებიც თითქოს არღვევენ ვაკის სწორ, ზედაპირს, შემაღლებებს.

ჰავა ზომიერად ნოტიოა, იცის ზომიერად ცივი ზამთარი და ცხელი ზაფხული, მაქსიმალური ტემპერატურა ზაფხულის თვეში 37-40 გრადუსი, ზამთარში -23-25 გრადუსი. რაიონის მდინარეულ ქსელს ქმნის იორი, ალაზანი და რამდენიმე პატარა ხასიათის მდინარე. მდინარე იორი კვეთს ივრის ზეგანს მთელ სიგრძეზე აქვს კარგად გამოხატული მეანდრები. მარცხნიდან ერთვის მდინარე ოლე, მარჯვნიდან მრავალი ღელე ალაზნისაკენ. ალაზნის ვაკეზე განვითარებულია ტყე-ღელის გადამუშავებული ზოლის მლაშობები, ალუვიურ-კარბონატული და მდელოს კარბონატული ნიადაგები. დიდი ფართობი უკავია ბიცობიან და ღრმად დამლაშებულ ნიადაგებს. ტერიტორიის დიდი ნაწილი ათვისებულია სასოფლო სამეურნეო კულტურებით. ძირითადი დარგებია მევენახეობა და სახორცე-სარძე მეცხოველეობის მიმართულებები. განვითარებულია აგრეთვე მარცვლეულის, ბოსტნეულისა და მზესუმზირის წარმოებები.

ისტორიული ძეგლებია; ბოდბისა და ხირსის მონასტერი, ბოდბის გუმბათოვანი კომპლექსი (XI-X სს.) ვაქირის ნათლისმცემლისა და კვირაცხოველის ეკლესიები, დავითგარეჯის, თამარის ციხე და წმინდა ელიას ეკლესია ძველ ანაგაში, სიღნაღის ციხე და სხვა.

# Sighnaghi District

None of the Georgian cities was so popular during recent years than Sighnaghi. Reconstruction of none of them was as inspiring as of Sighnaghi. Government and investors didn't spare money and power, the architect – knowledge and the Sighnaghians – dedication to own city, this might be supported by natural beauty and great grace, coming from Bodbe Monastery standing close to Sighnaghi. All these gave Sighnaghi the name of the "City of Love".

The District is in Eastern Georgia. Until 1917 it was the part of Tbilisi Province and was called Sighnaghi Uyezd (Administrative subdivision under Russian Empire). It is bounded by Lagodekhi district and Azerbaijan to the north-east, Tsiteltskaro district – to the south, Gurjaani and Sagarejo districts – to the northwest and Tsiteltskaro to the east. Its total area is 1251.7 km2. regional center – city of Sighnaghi, there are to cities, 12 rural boards and 23 villages in the District. The District is occupies by Alazani depreciated Valley to the north from Gombori range to the river Alazani. The Valley is lowered to the north and higher to the south; it is stooped from north-west to the south-east. On the surface there are hills of 3-6 meters high, which visually abolish total, straight view of the valley.

Climate is visually humid, with moderately cold winter and hot summer. Maximal temperature of air in summer 37-40oC, in winter -23-250C. River network of the district is formed by the Iori, the Alazani and some rivers of periodic character. River Iori crosses Iori table-land. It was well expressed fields. It is joined by the river Ole to the left, dry spring Alazniskhevi. On the Alazani Valley there are soils of black-earth, alpine carbonate and field carbonate. Large part of the territory is processed by agrarian cultures. Leading fields are viticulture and breeding-diary industries. Production of grain, vegetables and sunflower is developed as well.

Historic monuments are: Bodme and Khirsis Monasteries, Bodme complex of caves (11th-13th centuries),Churches of John the Baptost and Kviratskhoveli in Vakiri, Davitgareji, Fortress of Tamari, Church of St. Elijah in Old Anaga, Sighnaghi fortress and others.



# ბოდბის დედათა მონასტერი



























# ახმეტის რაიონი

რაიონი აღმოსავლეთ საქართველოში. ჩრდილოეთით ესაზღვრება ჩაჩნეთ-ინგუშეთი, აღმოსავლეთით დაღესტანი და თელავის რაიონი, დასავლეთით დუშეთის და თიანეთის, სამხრეთით საგარეჯოს რაიონები. ფართი 2248კმ 2. რაიონული ცენტრი ქ. ახმეტა. რაიონში შედის ერთი საქალაქო 15 სოფლით და 9 სასოფლო საბჭოთი, სულ 75 სოფლით.

ახმეტის რაიონის უმეტესი ნაწილი მთიანია. უჭირავს კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ და ჩრდილო კალთები, ალაზნის ვაკის უკიდურესი ჩრდილო დასავლეთი მონაკვეთი, ჩრდილოეთით მთიანი მხარე თუშეთი.

ალაზნის ვაკე დაფარულია მეოთხეული რიყნარით, ქვიშებით, თიხებითა და თიხნარით.

ახმეტის რაიონის ძირითადი ოროგრაფიული ერთეულებია: პირიქითი ანუ თუშეთის ქედი: ტებულოს მთა -4494 მ, ქომიტო -4274 მ, დიკლოს მთა -4407 მ, დანოს მთა -4179 მ, მთავარი ქედის ნაწილი (მწვანე დიდი ბორბალო) 3294 მ, კახეთის ქედი. ალაზნის ზემო დინებისა და ილტოს წყალგამყოფი. რაიონის უმეტეს ნაწილში საშუალო და მაღალმთიანი მერიდიანული ეროზიული ქედები და გარდიგარდმო ხეობებია.

ჰავა: დაბალ ზონაში ნოტიო, ცხელი ზაფხულით, ზომიერად ცივი ზამთრით. მინიმალური ტემპერატურა -23, ივლისში 30-36გ ც.

შიდა წყლები. კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთით მიედინება მდინარეები -ალაზანი და ილტო მრავალი შენაკადით, ჩრდილოეთით თუშეთის ალაზანი. სოფელ ქუმელაურთასთან ისინი ერთდებიან და ქმნიან მდ. ანდის ყოისუს, რომელიც აღმოსავლეთით დაღესტნის ტერიტორიაზე მიედინება. თუშეთში არის აგრეთვე მინერალური სამკურნალო წყაროები. მდინარეები ოსიაურისხევი, დიდღორე და სხვა. ღვარცოფულია, ალაზანსა და ილტოს მოსახლეობა იყენებს სარწყავად.

რაიონის ალპურ ზონაში ბინადრობს ჯიხვი, ნიამორი, არჩვი, ტყის სარტყელში გვხვდება შველი, მურა დათვი, ფოცხვერი. გვხვდება მგელი, ტურა, მელა, კვერნა, წავი, მაჩვი, დედოფალა... მაღალ მთებში ბინადრობს შურთხი, ორბი და სხვა.

ახმეტის რაიონი მდიდარია კულტურულ-საგანმანათლებლო და ხუროთმოძღვრული ძეგლებით. ბახტრიონის ციხე-სიმაგრე, კვეტერის ციხე (X საუკუნე), ალავერდის ანსამბლი (მთავარი ტაძარი XI ს.), მატნის ,,ცხრაკარის მონასტერი (ეკლესია V- VI სს.), ზემო ალვანის ,,ცხრაკარა" (სასახლე XVI ს) და სხვა.

# Akhmeta district

District is in Eastern Georgia. It is bounded by Chechnya and Ingushetia to the north, Dagestan and Telavi district to the east, Dusheti and Tianeti to the west and Sagarejo district to the south. Its total area is 2248 m2. Center of the district is the city of Akhmeta. There are one municipal board with 15 villages and 9 rural boards with 75 villages in the District.

Most part of Akhmeta district is mountainous. It is spread on the southern and northern slopes of Great Caucasus range, extreme north western part of Alazani Valley and mountainous region of Tusheti to the North.

Alazani valley is covered with bank stones, sands and clays.

Basic orographical units of Akhmeta district are: Tusheti range: Tebulo mount -4494 m, Komito -4274 m, Chesho mount -4407 m, Dano mount – 4179 m, Part of the basic range (Green Big Borbalo) 3294 m, Kakheti range, Whatershed of upper flow of Alazani and Ilto. There are meridian erosion ranges and cross ravines of average and high type at the most part of the District.

Climate: humid in the lower zone, hot in summer, moderately cold in winter. Minimal temperature -23 oC, in July 30-36 oC.

Internal waters, The rivers Alazani and Ilto with conjunctions flow to the south of Great Caucasus watershed range, to the north – Tushetian Alazani. They join by the village Kumelaurta and form Andis Koisu, which flows at the territory of Dagestan to the east. There are also mineral curative springs in Tusheti. Rivers Osiauriskhevi, Didirike and others are of mudflow. Alazani and Ilto are used by the population for irrigation.

Capra, wild goat and chamois inhabit in the alpine zone. Roe, brown bear and lynx are met in the forest, as well as a wolves, jackals, foxes, marten, European otter, badger, least weasel... in the highlands there inhabit snowcock, gyps and others.

Akhmeta district is rich in cultural-educational and architectural monuments. Bakhtrioni fortress, Kveteri fortress (10th century), Alaverdi complex (main temple 11th century), Matani "Tskhrakari" (nine gates) Monastery (church of 5th-6th centuries), Zemo Alvani "Tskhrakari" (oakace of 16th century) and others.



























# თელავის რაიონი

ქალაქი აღმოსავლეთ საქართველოში, გომბორის ქედის ჩრდილოეთ აღმოსავლეთ კალთის ძირას და ალაზნის ვაკეზე. ჰავა ზომიერად ნოტიოა, იცის ზომიერად ცივი ზამთარი და ცხელი ზაფხული.

თელავის რაიონის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი უჭირავს ახალგაზრდა, ნაოჭა-სტრუქტურიანი გომბორის ქედის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ კალთას, მდინარეების შავკოდასხევისა და თურდოს წყალგამყოფიდან მდინარეების შრომისხევისა და მღვრიე ხევის წყალგამყოფამდე. თელავის რაიონი ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ოლქში მდებარეობს და კლიმატის სიმაღლეობრივი ზონალობით ხასიათდება. ალაზნის ვაკეზე ზომიერად ნოტიო ჰავაა, იცის ზომიერად ცივი ზამთარი და ცხელი ზაფხული. თელავის რაიონის მთავარი მდინარეებია ალაზანი და მისი მარცხენა შენაკადები. მარჯვენა შენაკადები უმთავრესად ატმოსფერული ნალექებისა და თოვლის დნობის დროს ივსება წყლით.

თელავის დასახლება გვიან ბრინჯაოს ხანაში გაჩნდა, ელინისტურ ხანაში განვითარდა, ხოლო გვიანდელ ანტიკურ ხანაში მის ბაზაზე წარმოიქმნა ქალაქის ტიპის დასახლება. პირველად მოხსენიებულია ძვ. ბერძენი გეოგრაფის კლავდიოს პტოლემეს ( ს.) „გეოგრაფიაში" „ტელედას-ნ" ფორმით.

ქართულ წყაროებში გვხვდება XI ს-დან, როცა თელავი კახეთ-ჰერეთის სამთავროს ცენტრი გახდა. XII ს-ში იგი საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი იყო განვითარებული ვაჭრობითა და ხელოსნობით. თელავზე გადიოდა სავაჭრო-საქარავნო გზები. XIII ს. ნახევრიდან, მონღოლთა ლაშქრობების შემდეგ, მისი მნიშვნელობა დაეცა. შემდგომში იგი მონღოლი მოხელის სადუნ მანკაბერდელის საკუთრება გახდა. XV-XVI სს-ში თელავი ისევ დაწინაურდა. XVII ს-ში ქალაქის შემდგომი განვითარება შეაფერხა ირანის შაჰის აბას -ის ლაშქრობებმა. XVII ს. ნახევარში კახეთის მეფე არჩილი -მ თავისი რეზიდენცია გრემიდან თელავში გადაიტანა. ამ პერიოდიდან თელავი მწიგნობრობის კერად იქცა. აქ სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ არჩილი , დავით , თეიმურაზ , საიათნოვა და სხვა. თეიმურაზ -სა და ერეკლე -ის ტახტში დამკვიდრებულ ლიტერატურულ ტრადიციებზე აღიზარდა ქართველ ბატონიშვილთა მთელი თაობა. 1758 წელს, თელავში დაარსდა საფილოსოფიო-საღვთისმეტყველო სკოლა, რომელიც 1782 წელს სემინარიად გადაკეთდა. აქ საგანმანათლებლო და შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდნენ ფილიპე ყაითმაზაშვილი, გაიოზ რექტორი, დავით რექტორი და სხვა.

ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების (1801) შემდეგ თელავი

ახალი ადმინისტრაციული ტერიტორიის ცენტრი გახდა. 1905-07 წ. რევოლუციის პერიოდში თელავში იმართებოდა პოლიტიკური ხასიათის გაფიცვები, მიტინგები, დემონსტრაციები, არალეგალურად მზადდებოდა იარაღი. 1906 წლის 9 იანვარს ქალაქში ფართოდ აღინიშნა სისხლიანი კვირის წლისთავი. თებერვალში კი მღელვარება დაიწყო თელავის გარნიზონის ნაწილებში, ბაშკადიკლარის ბატალიონის ჯარისკაცებმა გაფიცვა გამოაცხადეს და მოთხოვნები წაუყენეს სარდლობას. 1917 წ. მენშევიკებისაგან ცალკე გამოიყო ქალაქის ბოლშევიკური ორგანიზაცია. საქართველოში მენშევიკური ხელისუფლების ბატონობის წლებში თელავი კახეთში რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი ცენტრი იყო. 1921 წლის თებერვალში ქალაქის მშრომელებმა წითელი არმიის დახმარებით ხელში აიღეს ძალაუფლება, თელავში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

თელავის ხუროთმოძღვრული ძეგლთაგან უძველესია ღვთაების ეკლესია (ვ-ვ სს), რომელიც დღემდე ქალაქის სილუეტის არქიტექტურული დომინანტს წარმოადგენს. შემორჩენილია XI ს. ციხის ზღუდის ნაშთები, ე.წ. ძველი გალავანი. XVIII ს. ნახევარში თელავმა დასრულებული ფეოდალური ქალაქისათვის დამახასიათებელი სახე მიიღო. საქალაქომშენებლო ანსამბლს ოთხი დიდი ნაგებობა – ძვ. გალავანი, ბატონის ციხე, ყორჩიბაშიშვილებისა და ვახვახიშვილების ციხეები–განსაზღვრავდა. 1758 წ. აგეს კარის ახ. ეკლესია, 1766 – საზარბაზნე ბურჯი. ქალაქის ცენტრში შემორჩენილია კოშკისებრი შენობა რომლის ქვედა სართული ეკლესია-სამლოცველოა, ზედა კი –თავდასაცავ-შესახიზნი დამოუკიდებელი შესასვლელებით და სათოფურებით. XIX ს. ნახევარში თელავში გაცხოველებული მშენებლობა დაიწყო. შეიქმნა ხელოსანთა სავაჭროებით მჭიდროდ განაშენიანებული ახალი უბანი, გაიზარდა ბინათმშენებლობა, ქალაქი გაიშალა ციხის კედლებს გარეთ. ძველ ციხეებმა თანდათან დაკარგა მნიშვნელობა, მოიშალა კედლები, ხოლო ბურჯები ზედმიდგმული საცხოვრებელი სახლებს შეერწყა. საფუძვლიანად გადაკეთდა ბატონის ციხის შიდა ტერიტორიაც.

ქალაქის არქიტექტურული ცენტრი კვლავ ბატონის ციხეა. მის ირგვლივ მოეწყო მოედნები. ძველი ერთსართულიანი სახლები და ქოხმახები ახალმა, კეთილმოწყობილმა კორპუსებმა შეცვალა, ძირფესვიანად გადაკეთდა ქალაქი და დღეს საოცრად ლამაზია.

ხუროთმოძღვრული ძეგლთაგან აღსანიშნავია: აკურის მონასტერი (X), ვანთის სასახლის კომპლექსი, ძველი და ახალი შუამთის მონასტრები, იყალთოს სამონასტრო კომპლექსი (VI-XII სს), კისისხევის გუმბათოვანი ეკლესია (VIII-IX სს), ნაფარეულის სამეკლესიანი ბაზილიკა, რუისპირის წმინდა შიოს მონასტერი (XII-X) ს.















# იყალთოს სამონასტრო კომპლექსი



ალავერდის ეპარქიაში მდებარე ეკლესია-მონასტერთაგან მნიშვნელოვანია თელავიდან დასავლეთით 8 კილომეტრის დაშორებით, სოფელ იყალთოს სამხრეთით, ცივგომბორის კალთებზე განფენილი იყალთოს სამონასტრო კომპლექსი. მონასტერი ცამეტ ასურელ მამათაგან ერთ-ერთმა ღირსმა მამა ზენონმა დაარსა. სოფელ იყალთოში მდებარე ეკლესიათა ნანგრევების სიმრავლე გვარწმუნებს, რომ უწინ აქ დიდი სამონასტრო კომპლექსი ყოფილა. ხალხის თქმით, აქ სამოცი ეკლესია იყო.

ღირსი მამა ზენონის შესახებ ცნობები ძალიან მწირია. ცნობილია, რომ VI საუკუნეში, მეფე ფარსმანისა და კათოლიკოს ევლავიოზის დროს საქართველოში კაბადოკიის უდაბნოში მოღვაწე ცამეტი ასურელი მამა იოანე ზედაზნელის წინამძღოლობით შემოვიდა. მათ მიზანს წმინდა ნინოს მიერ ნაქადაგები ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცება წარმოადგენდა.

იყალთოს მონასტერი ღირსმა მამამ ზენონ იყალთოელმა VI საუკუნეში დაარსა. მძლავრი სასულიერო კერა ქართველთა ქრისტიანული რწმენის უცხო ალმსარებლობისგან დაცვის ერთ-ერთი საყრდენი გახდა. მონასტრის მთავარი –ღვთაების ტაძარი VIII-IX საუკუნეებშია აგებული უძველესი ეკლესიის ადგილზედ. იგი კახეთის ეკლესიებს შორის ერთ-ერთი ძველი გუმბათიანი ტაძარია. გეგმაზე აქვს ტოლმკლავა ჯვრის ფორმა. ეკლესიის მხატვრულად გაფორმებული ერთადერთი ნაწილი გუმბათის ყელია. მის სარკმელებს შემოვლებული აქვს დეკორატიული თაღები ფერადოვანი, რელიეფური რომბებით. ტაძარს სამივე მხრიდან აქვს შესასვლელი თაღოვანი კარიბჭეებით.

ტაძრის სამხრეთ კედელთან ღირსი მამა ზენონის საფლავია. საქართველოს სამოციქულო ეკლესია ღირს მამას ასევე იოანე ზედაზნელისა და მისთა ათორმეტთა მოწაფეთა ხსენების დღეს 20 მაისს მოიხსენიებს.









# ლოპოტა

# Lopota










სიახლე
ანაკლია
Anaklia


Regions of Georgia, Time, People
Turkey - Georgia
Time, People
Newspaper
KVIRA
გაზეთი
კვირა P.S.